

3-47

საქართველოს  
ბავშვთა გაზეთი

# ბავშვთა გაზეთი



1928

სახეცვლამი

№ 9



# „პიონერის“

რედაქცია გადამვიდა ხსალ ბინაზე:

ბზილიში, რუსთველის გამზირი, № 22

(საქართველოს კომუნისტური პარტიის  
ცენტრალური კომიტეტის ყოფილი უენოზა)

ყოველგვარი მიწერ-მოწერა,  
როელიც ჟურნალის საკითხებ-  
თან არის დაკავშირებული, ამ  
მისამართით უნდა იქნას  
წარმოებული

### ზინტარსი:

1. ბავშთა საერთაშორისო კვირეული . . . . .	2	7. ემზადეთ ზაფხულისათვის—ა. ასტაშევაძე . . . . .	17
2. გამურული ქალაქი—დ. ციციშვილის . . . . .	3	8. მაქსიმ გორკი . . . . .	18
3. შრომის ლეოსასწაული—შ. ვასაძის . . . . .	8	9. ჩვენი ძმები მსოფლიოში . . . . .	20
4. ტყის დღე—დ. თურდოსპირელის . . . . .	11	10. ჩვენი სიმდიდრენი—შ. ფარცხნაღელის . . . . .	21
5. მტკვარი უღელში (დასასრული)—ზ. დარჩიასი . . . . .	14	11. ჭადრაკი . . . . .	23
6. პიონერ-აქტივის მღწაობა—კ. ბუჯიაშვილის . . . . .	16	12. თამაშობანი —კანზე.	



# პიონერი

1928  
15 მაისი

განათლების სახელსუფამო კომისიის სტრუქტურის აღმშენებლის მთავარმა-  
თვალთმის და საცდეთულის მ. კ. თ. ცენტრალური მიერთს (საფ. ა. ლ.  
კომპაგნიის ცვასთან) შექმნილი მავშვისათვის

წელიწადი III  
№ 9



პიონერები ბუნების წიაღში

# ბავშთა საერთაშორისო კვირეული.

მაისი ჩვენთვის არა თუ მარტო სასიხარულო გაზაფხულის თვეა, როდესაც მთელი ჩვენი საზამთრო მუშაობა საზაფხულო მუშაობის ლიანდაგზე გადადის, არამედ ისაა თვე მეტად მნიშვნელოვანი ბავშთა საერთაშორისო კვირეულისა, რომელსაც ვდღესასწაულობთ ყოველწლიურად 20 მაისიდან 27 მაისამდე.

მე-8 წელია, რაც ბავშთა კომუნისტური მოძრაობა წარმოიშვა და ამ მცირე ხნის განმავლობაში პიონერების რიგები შეუჩერებლად იზრდება ყველა ქვეყანაში, განსაკუთრებით კი ჩვენს ქვეყანაში.

ბავშთა საერთაშორისო კვირეული არა თუ მარტო პიონერების დღესასწაულია, ისაა შეუკავშირებელ ბავშთა დღესასწაულიც, და მისი ერთ-ერთი მიზანია რაც შეიძლება მეტი ძალების შეკრება და თავის რიგებში დარაზმვა.

რვა წელი არაა დიდი დრო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენი მიხწევები მეტად მნიშვნელოვანია. არაა დარჩენილი ქვეყნიერების არცერთი კუთხე, სადაც წითელყელსახვევიან ბავშთა რიგები არ იყოს შემჭიდროებული. წითელყელსახვევიან ბავშთა რიგები შეუჩერებლივ იზრდება და ფართოვდება არა თუ მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორეულ ქვეყნებშიც.

იმ დროს, როცა ჩვენში პიონერთა მოძრაობას ყოველმხრივ უწყობენ ხელს პარტია და კომკავშირი, რომ აღზარდონ ქეშმარიტი ლენინელები, უცხოეთის პიონერებს ჩუმი, ფარული მუშაობის წარმოება უხდებათ, მათ დევნიან, ავიწროებენ, არბევენ. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელია მუშაობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეს მოძრაობა იქაც სასურველად ფართოვდება.

დასავლეთში წითელი ყელსახვევი არის ნიშანი ბრძოლისათვის მზად ყოფნის, სიმხნევის, ჩვენში— კი აღმშენებლობაში, სახალხო მეურნეობის განვითარებაში მონაწილეობის. ჩვენში პიონერი სოციალისტური აღმშენებლობის აქტიური მონაწილეა, ხოლო დასავლეთში კი მომავალი რევოლუციებისათვის მებრძოლი, ბურჟუაზიული წყობილების დაუნდობელი მტერი.

ბურჟუაზია მწვავედ გრძნობს ბავშთა კომუნისტური მოძრაობას საშიშროებას და სათანადო ზომებს მიმართავს კიდევ მის წინააღმდეგ.

განსაკუთრებულად ებრძვის ის მათ ინტერნაციონალურ კავშირს საბჭოთა ქვეყანასთან, რომლის არსებობა ძილს უფრთხობს მას; ბურჟუაზია არ აძლევს პიონერ დელეგატებს ჩვენს ქვეყანაში წამოსვლის უფლებას, ადგენს პარლამენტში ათასგვარ სა-

წინააღმდეგო კანონს, მეგრამ, როგორც ცნობილია, პიონერებიც არა ნაკლებ იბრძვიან მათი ძალადობის წინააღმდეგ. უცხოეთის პიონერებისათვის საბჭოთა კავშირი ერთადერთი საყვარელი ქვეყანაა, რომლისაგანაც ისინი ყოველთვის იღებენ დახმარებას.

ამიტომ მერვე საერთაშორისო კვირეული უნდა ჩავატაროთ მსოფლიო პიონერების ერთიანი მჭიდრო კავშირის ნიშნის ქვეშ.

ეს დღესასწაული ჩვენთვის ძალთა შემოწმებასა და ახალი ძალების მოკრებას ნიშნავს, ამიტომ ამ დღესასწაულს ცოცხალი და ფართო ხასიათი უნდა ექნეს. ჩვენი კვირეული დიდი მნიშვნელობის მოვლენაა და უნდა ვისარგებლოთ მომენტით, გამოვთქვათ ზიზღი მსოფლიო ბურჟუაზიის წინააღმდეგ, რომელიც ავიწროებს და სჩაგრავს იქ ჩვენს მოძმე ბავშებს, აწარმოებს ყოველგვარ საძაგელ მუშაობას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ; დავდოთ ერთხელ კიდევ მტკიცე ფიცი საბჭოთა ქვეყნების დასაცავად. საბჭოთა კავშირს არ უნდა ომი, მაგრამ არც არავის დაუთმობს ოქტომბრის დიდი რევოლუციით მონაპოვარ გამარჯვებას. ჩვენ, პიონერები, ოქტომბრის შვილები ვართ და ყველაზე მეტად გვმართებს ოქტომბრის მონაპოვართა სადარაჯოზე დგომა.

ჩვენ მზად ვართ მივიღოთ ჩვენს ქვეყანაში კიდევ პროლეტარულ ბავშთა მრავალი დელეგაცია, გააცნოთ მათ ჩვენი ცხოვრება და მიხწევები და მათი საშუალებით მხურვალე სალამი გადავცეთ ჩვენს მოძმე მსოფლიო ბავშებს.

ბავშთა კვირეული გვაძლევს საშუალებას შევაგმოწმოთ საკუთარი მუშაობა, გავიგოთ, თუ რა გავიკეთებია საერთოდ და კერძოდ კი პიონერ-ორგანიზაციების არსებობის 6 წლის თავზე ჩვენში, შევაგმოწმოთ მუშაობა არა იმისათვის, რომ ვიკვებოთ ან ვაძაგოთ ჩვენი თავი, არამედ ვისწავლოთ საკუთარ შეცდომებზე და ამ გზით წავიდეთ წინ, როგორც პარტიის და კომკავშირის საიმედო და ღირსეული ცვლა.


გავაძლიეროთ და გავაფართოოთ პიონერ-ორგანიზაციები და მათი მონაწილეობა საბჭოთა კავშირის აღმშენებლობაში, რაც ერთსადაიმევე დროს ნიშნავს ჩვენს მხრივ უცხოელი ამხანაგებისადმი დახმარებას. მე-8 საერთაშორისო ბავშთა კვირეულის და საკავშირო პიონერ-ორგანიზაციის არსებობის 6 წლის თავის ჩვენი ღოზუნგია:

განვაძტიკოთ კავშირი მსოფლიოს პიონერებთან.

ვიბრძოლოთ მესამე თაობის ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

მოვაშხალოთ ჩვენი რიგები მტკიცე ლენინელებად, საბჭოთა კავშირის, სოციალისტური საზოგადოების მონაწილე ძალებად.

იყავით მზად!



### 1. ბადაყვება.

— მამილო, ყოველ შაბათობით რატომ ბრუნდები ხოლმე შინ ასე გამურული და დედა შენს გათეთრებას მთელი დღე უნდებო? — შეეკითხა გიგო მამას, რომელიც ეხლახან დაბრუნდა ქ. ჭიათურის მილამოების შავი ქვის მალარობიდან და ახლად დაბანილი ტანით ბუხართან თბებოდა.

— ჩემო კარგო, — უპასუხა მამამ, — მე შავ ქალაქში ვმუშაობ, იქ ყველაფერი გამურულია. მე ხომ მთელი კვირის განმავლობაში მალაროში წერაქვით შავ ქვას ვამტრევ და ნიჩბებით ვაგროვებ. რასაკვირველია, ის ისე გამმურავს, როგორც თვითონაა გამურული.

— ნოთუ ყველანი ისე არიან გაშავებულნი, როგორც შენ?

— ყველა ჩემსავითაა გაშავებული, შვილო, ვინც შავ ქვაში მუშაობს. ვინც არ მუშაობს, ის, ცხადია, ჩვეულებრივ ადამიანს ჰგავს, მაგრამ სახლები, ქუჩები და გორაკები სულ გამურულია.

— რა კარგი იქნება, მამილო, რომ წამიყვანდე და მაჩვენებდე. ჩვენ სკოლაში მასწავლებელი ხშირად ახსენებს ხოლმე ჭიათურას, ასე ამბობს, იქ ისეთი იშვიათი მადანი ამოადას, რომელსაც შავ ქვას უწოდებენო; ეს შავი ქვა სხვა სახელმწიფოებში გააქვთო და იქ ჰყიდიანო, სადაც მას სხვადასხვა ლითონის დასამზადებლად ხარობენო. ჩვენ პიონერ-კოლექტივში კადეც გადავწყვიტეთ წავსულიყავით ექსკურსიაზე ჭიათურაში, მაგრამ ვერ მოეწყო ეს საქმე. იცი, როგორ მიხაროდა იქ წასვლა? მამილო, დღეს ჩვენ უკვე დავვიბოვავს ათი დღით საგაზაფხულოდ, ხვალ მეც გამოგყვები და მაჩვენე ჭიათურა. იქ, მგონი, ამერიკელებიც ჩამოსულან, ისინიც მანახვე. ერთი ვაფიგო, როგორი ხალხია. არა, მამილო, ხომ წამიყვან?

— კარგია ერთი, აჩემებ რაღაც სისულელეს და აღარ მოეშვები შენ რომ წამოხვადე, ბიჭო, იქ რა უნდა გამოიკეთო? მეც გამაძღენ: შენ გადევნო თვალყური თუ ვიმუშაო? იქ ისეთი კლდეებია, რომ თუ მარტო დაიწყე ხეტიალი, სადმე გადიჩენები; ჯერ მოიცადე, როცა დიდი გაიზრდები, ჭიათურასაც ნა

ხავ და ბათუმსაც, — უთხრა მამამ და ამავე დროს ვახშმისათვის გაწყობილ სუფრას მიუბრუნდა.

— რა მოხდება ვითომ, რომ ეს ბავში ხვალ შენთან წამიყვანო? იქ ნუ შეიყვან მალაროში, ჩემ დასთან მიიყვანე შუქრუთში, მისი შვილები ჩემ გიგოზე უფროსებია, ისინი წამიყვანებენ და ჭიათურაში ყველაფერს აჩვენებენ, — ჩაერია საუბარში დედა მატრონე და გიგო უხერხული მდგომარეობიდან გამოიყვანა, — თან იქ ბავშვს საზაფხულო შარვალი და ბლუზა უყიდე, ფეხსაცმელებიც სჭირდება, ხომ ხედავ, ყველაფერი შემოვება.

— ეგ ჩინებული აზრია, მატრონე. კარგი, წამიყვან ხვალ გიგოს, ჩემს ბიჭუნას, იქ თვალს მაინც გაახელს, როდესაც მასწავლებელი კიდევ აუხსნის გაკვეთილს ჭიათურის შესახებ, მაშინ სრული წარმოდგენა ექნება მასზე.

— იქ, შუქრუთში, ვახტანგი და ცაცა მაგას ყველაფერს გააცნობენ. აქ რომ მოხვდი, გოგი, დღეისწორს უკანგე, შენ ამხანაგ პიონერებს უთხარი ჭიათურის ამბავი, მოუყევი დაწვრილებით ყოველივე, რაც ნახო, და შემდეგ, როდესაც ექსკურსიას მოაწყობენ, შენ ჩაუდგე სათავეში პიონერებს, წამიყვანე და გააცანი მაინც ჩვენი ჭიათურის მუშათა ცხოვრება, — დაეთანხმა მამა ასეთ გადაწყვეტილებას.

აღფრთოვანებულ გოგის იმ ღამეს არც კი დაეძინა, სულ ოცნებობდა შავი ქვით გამურულ ქალაქზე და იმ მუშებზე, რომელნიც იქ მუშაობდნ.

გოგისათვის მისი ნახვა ბევრ რამეს მოასწავებდა. ღამე გაქიანურდა ასეთი ფიქრით. უძილობით დაქანცულ გოგის მხოლოდ მაშინ ჩაეძინა, როდესაც მამლებმა პირველად იყვილეს.

### 2. მზავრობა.

მეორე დღეს, კვირას, მარტის დღემ თვალი გამოახილა და გაზაფხულის სხივებმა უხვად გაშალეს თავისი სინათლე და სითბო ს. კობოლოლის მინდორ-ველებზე და გლეხების ქობახებზე. გოგის თავის საწოლში ისევ სძინავდა. მამა გოგის ახალ სამზავრო ქალამნებს უსხამდა, დედას კი თბილი წინდები გაე-

რეცხა და ბუხრის ყელში გახედულ ჯოხზე გადაეკი-  
ლა გასაშრობად.

ს. კორბოული, სადაც გოგი ცხოვრობს, თვრა-  
მეტი ვერსითაა დაშორებული ქ. ქიათურაზე. მიუ-  
ხედავად ასეთი სიშორისა, იშვიათად თუ ნახავთ ამ  
სოფელში ისეთ გლეხს, რომელსაც არ ჰქონდეს გა-  
მოცდილი ქიათურის შავ ქვეში მუშაობა. ვისაც ხარ-  
კამეჩი ჰყავს, ის ხშირად ეზიდება შავ ქვეს თავისი  
ურმით მალაროებიდან სადგურის მახლობლად. თი-  
თოფელი ურემი უმატებს თავის მხრივ სადგურთან  
ამართულ მოზრდილ შავი ქვის ფხვნილის გორაკებს  
რამოდენიმე ათეულ ფუთ შავ ქვეს და შემდეგ ისევ  
უკან ბრუნდება ხელახალი დატვირთისათვის.

ისეთი გლეხი, რომელსაც ხარ-კამეჩი არა ჰყავს,  
მალაროებში მიდის სამუშაოდ, სადაც იგი მუშაობს  
ყოველდღიურად 7 საათს.

ს. კორბოულის გლეხს რომ შეეკითხოთ, რამ-  
დენი ვერსია აქედან ქიათურამდეო, ის ამაზე სწორ  
პასუხს არ მოგცემს და გეტყვისთ ამინდის მიხედვით,  
თუ რამდენი საათის სასიარულო გზა არის. ყოველ  
შემთხვევაში, ზამთარში ზომად მიღებულია 4 საათი,  
ზაფხულში კი სამი, რადგან წვიმა და თოვლი ზამ-  
თარში დიდ ტალახს აყენებს, რაც აძნელებს სია-  
რულს, ზაფხულში კი ეს ტალახი შრება და ამ გზით  
სიარულიც საადვილოა.

როდესაც გოგის გამოეღვიძა, მზე უკვე დიდზე  
ამოსულიყო და სადილობაც ახლოვდებოდა. საჩქა-  
როდ წამოხტა გოგი ზეზე შეფიქრიანებული, მამამ  
ხომ არ მომატყუა და მარტო არ წავიდა გამურული  
ქალაქისკენო. მაგრამ როდესაც დაინახა, რომ მამა  
ახლად ასხმულ პატარა ქალამებზე ფეხზე შემოსაკ-  
რავ თოკს ამაგრებდა, დამშვიდდა, მიხვდა, მამა არ  
აპირებს მის მოტყვილებას და ნამდვილად ამზადებს  
მას წასაყვანად.

— ქალო, დაჩქარე სადილი, დავგავიანდება,  
მიმართა მამამ მატრონეს, როცა გამოზადებული ქა-  
ლამნები გვერდზე გადასდო, დედა კი ამ დროს ბუ-  
ხარში ჩაყუდებულ კეცებს ატრიალებდა, უკვე და-  
ბრაწული, გამომცხვარი ჭადი თაროსაკენ მჰქონდა.

— ახლავე მზად იქნება, — იყო პასუხი.

არ გაუფლია დიდ ხანს, როდესაც მამა და შვი-  
ლი ფართო მინდვრის გზით ქიათურისკენ გაუდგენ  
გზას. გოგი სიხარულით მიხტოდა ნამიან მინდორზე  
ახალი ქალამნებით, რომლის გამო მას ხშირად აუს-  
ხლტებოდა ხოლმე ფეხი და ძირს ეცემოდა. მამა კი  
ამ დროს იცინოდა.

გზაში მათ ბევრი უკან დაბრუნებული გლეხი  
და გლეხის ქალები ხვდებოდნენ, ქალაქ ქიათურიდან  
მომავალნი, რომელთაც თავისი შინაური ნაწარმოე-

ბი დილადრიან წაელოთ შავი ქალაქის ბაზარზე და  
გაესაღებინათ.

გოგიმ და მისმა მამამ გაიარეს რამოდენიმე სო-  
ფელი და ბოლოს ჩავიდნენ ს. სვერში, რომელმაც  
ბავშვის ყურადღება მიიპყრო მით, რომ, ნაცვლად  
გაშლილი ველ-მინდვრიანი გზისა, ისინი გავიდნენ  
ვეებერთელა კლდეების ხეობებში მიმავალ გზაზე.  
სოფელი სვერიც განირჩეოდა სხვა დანარჩენი სოფ-  
ლებიდან მით, რომ მისი ადგილმდებარეობა კლდია-  
ნი და მთაგორიანი იყო. ძალზე დაქანებულ ფერ-  
დობებზე მერცხლის ბუდეებსავით იყვნენ მიმაგრე-  
ბულნი გლეხების სახლები.

იმ გზაზე, რომლითაც ისინი მიდიოდნენ, ხში-  
რად წამოეწოდნენ ხოლმე ქიათურისაკენ მიმავალ  
ურმებს და როდესაც მიუახლოვდნენ პატარა მდინარე  
საძალიხევს, მათ დაინახეს შავი ურმების მთელი ქა-  
რავანი.

ეს ის გლეხები იყვნენ, რომელნიც წინააღი-  
დაბრუნებულიყვნენ ქიათურის შავი ქვიდან თავის  
სახლებში და ახლა ისევ იქითკენ მიდიოდნენ ხელ-  
ახალი მუშაობისათვის. მეურმეებს გამურული სამუ-  
შაო ტანისამოსი ეცვათ, მხოლოდ პირისახეზე და  
ხელებზე ეტყობოდათ, რომ მათაც ისე უნდა ჰქო-  
ნოდათ დაბანილი ტანი, როგორც გოგის მამა იზანდა  
ხოლმე ყოველ შაბათობით.

გოგის განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია  
პატარა მდ. საძალიხევზე გადებულმა ხიდმა, რომე-  
ლიც მსხვილ მავთულზე იყო დაკიდებული, ორ  
კლდიან ნაპირს შორის.

— მამილო! მე მაგ ხიდზე ვერ გამოვალ, შეხე,  
როგორ ტორტმანობს! — დაიძახა გოგიმ, როდესაც  
დაინახა, სხვა მგზავრის გავლით ხიდი ზევით-ქვევით  
ქანაობდა.

— ნუ გეშინია, შვილო, მე მომყე, არ გადა-  
ვარდები. ხედავ, როგორი სახელურები აქვს? და მა-  
მამ გოგის ხელი მაგრად ჩასჭიდა ხიდზე გასაყვანად.

— მამა, სულ ამისთანა კლდეებში უნდა ვია-  
როთ? ერთი შეხედე, რამხელა კლდის გორა გადმო-  
გვიდებია თავზე. ჩქარა წავიდეთ, არ დაგვეცეს, — და  
გოგიმ ნაბიჯი გააჩქარა.

— აქ სულ ამისთანა კლდეებია. იცი, შვილო,  
აქიმალებოდა მეფის მთავრობის მოსისხლე მტერი აფ-  
რასიონ მერკვილაძე. ჰაი, გიდი! რომ იცოდე, რა  
კარგი კომუნისტი იყო! საწყალი აფრასიონ აქვე და-  
იჭირეს და ვერაგულად მოჭკლეს.

— მართლა, მამილო, შეხედე, შეხედე როგო-  
რი გამოქვაბულებია! ხედავ, იქ გამოქვაბულთან ყო-  
რეცაა ამოშენებული! რა კარგი დასამალავია. მერე  
როგორ შეუვიდნენ მათ? იმ გამოქვაბულში ერთსაც

ვერაფერს დააკლებდენ, თუ იარაღი ჰქონდა და მერე მთელი რაზმი რითი დაიჭირეს?

— ეჰ, შვილო, მაგას რომ მოგიყვე, დღესაც ვერ გავათავებ. უკეთესია შემდეგისათვის გადავდოთ, უფრო დაწვრილებით მოგითხრობ, მხოლოდ ეს კია, ნიკოლოზ მეფე თავის ორგულთ საძირემდე ჰყვებოდა ხოლმე. მან მთელი ეს სოფელი ააწიოკა უწინ კახაკებით: ჩქარა მოგვეციოთ აფრასიონ მერკვილაძე თავისი რაზმითო, მაგრამ მაინც ვერაფერს ვახდენ. შემდეგ მთელი თვეობით კახაკები აქ დაბინავდენ,

ბოლოს მოასწრეს და სწორედ იმ ადგილას მოჰკლეს, გაღმა რომ წამოყუდებული კლდე იხედება, იმ ვერაგებმა. სამაგიეროდ ჩვენც ვიძიეთ შური, ახლა ხომ ჩვენი მთავრობაა, სულ გავაჩანაგეთ ნიკოლოზის ავანჩავანნი.

ასეთი საუბრით მამა-შვილმა აღმართი აიარეს და ს. პერევისას მიუახლოვდენ. სერზე რომ გადადგენ, ირგვლივ მთელი შავი კლდეების და გორაკების სურათი გადაიშალა. ეჭვი არაა, ჭიათურას მიუახლოვდენ.



პიონერები მუშაობენ ბოსტანში.

— სად არის, მამა, ჭიათურა? შავი კლდეები უკვე იხედება. ჭიათურა სად არის? ეს ხომ არ არის ჭიათურა? შენ არ ამბობდი, ჭიათურაში ბევრი დუქანი და სახლი არისო? მერე სად არის?

— არა, შვილო, ჭიათურა ჯერ არ იხედება. ხომ ხედავ, აგერ, დიდ ხევს; ამ ხევში მდინარე ყვირილა ჩამოდის და ჭიათურაც დაბლაა, ხევში; ის ჭას მიაგავს. ამიტომ უთქვამსთ ძველად „ჭა თუ რა“, საიდანაც ეს სახელი ჭიათურა დარქმევია. უწინ იგი პატარა სოფელი იყო, ამ ორმოცი წლის წინათ, მაგრამ აქ შავი ქვა აღმოჩნდა, ხელად ქალაქად გადაიქცა, გაჩაღდა ვაჭრობა, გამოიყვანეს რკინის გზა, რკინის გზა ხომ გინახავს?

— როგორ არა, მამილო! საჩხერეში ვნახე, როდესაც დედამ წამიყვანა ძია დარისპანთან. მატარე-


ბელიც მინახავს, სადგურიც, სადაც მგზავრები ბილეთს ყიდულობდენ და მატარებელში სხდებოდენ.

— ხო და, აი, ასეთი რკინის გზა გამოიყვანეს აქ; აქედან ეს რკინის გზა საჩხერეშიც ადის. ხედავ, აი იქითკენ, შორს თეთრ ფერდობს. იგი უკვე საჩხერის მიდამოებია.

### 3. შეხვედრა.

დეიდა ეკატერინეს ძალიან გაეხარდა თავისი დისწულის ნახვა, როდესაც გოგიმ და მისმა მამამ ს. შუქრუთში მის სახლში ფეხი შეადგეს. ეს სოფელი ჭიათურას თავზე დაჰყურებს.

დეიდაშვილებიც — გოგი, ვახტანგი და ცაცა — აღტაცებით შეხვდენ ერთმანეთს.



— შვილო, რამხელა გაზრდილხარ, შენ შემოგველოს შენი დეიდა, რომელ ჯგუფში ხარ, ჩემო ბიჭიკო?

— მეექვსე ჯგუფშია, — სთქვა მამამ, — მაგრამ მასწავლებლები ასე ამბობენ, ცოტა ზარმაცობსო. გადამეკიდა, კაცო, გინდა თუ არა, ჭიათურაში უნდა წამიყვანო და მანახვო, და მეც წამოვიყვანე; ვიფიქრე, ბავში თვალს მაინც გაახელს მეთქი.

— ძალიან გინდა ჭიათურის ნახვა? — შეეკითხა ვახტანგი გოგის. გოგიმ დარცხვენილად თავი ჩაღუნა და არა უპასუხა რა.

— წამოდი, ახლა უკვე მოზინდებულა, ჩვენი სერიდან დაგანახვებთ ჭიათურას, იქიდან ისე მოხანს, როგორც ხელისგულზე. ელექტრონით სულ გაქათქათებულნი იქნება ახლა, — დასძინა ცაცამ.

ვახტანგი, გოგი და ცაცა მახლობელ სერზე გავიდნენ. პატარა ქალაქი მდ. ყვირილის ხეობაში ოქროსფერ ადგილად მოჩანდა. გოგი გაშტერებული შეჰყურებდა ამ სანახაობას. დიდხანს უცქირეს გაქათქათებულ ქალაქს ბავშვებმა, ცოტა კიდევ ითაჰაშეს სერზე და უკან დაბრუნდნენ.

#### 4. გაშტერული ქალაქი.

ცოტა ხნის მორცხვობის შემდეგ გოგი ვახტანგს და ცაცას შეეჩვია და მათთან უკვე თავისუფლად იქცეოდა. როდესაც შავი ქვის მალაროების და გვირაბების სანახაოდ მიდიოდნენ, გოგი მათ შეკითხვებით საშველს აღარ აძლევდა.

ისინი მიდიოდნენ ძალზე დაქანებული ფერდობის დახვეულ გზაზე. უეცრად გოგიმ თვალი მოჰკრა ჰაერში მოსრიალე ვეებერთელა ქვაბებს. განცვიფრდა. ნეტა რა ძალა უნდა იყოს ისეთი, რომ ეს ქვაბები ჰაერში დაჰყავს? საოცარია პირდაპირ! ვახტანგმა ხომ იცის ყველაფერი, ვახტანგი აუხანის.

— დაუკვირდი, გოგი, ხომ ხედავ აგერ აქეთ-იქით ვეებერთელა ბოძებს. ორ-ორს ერთად? ახლა მივუახლოვდეთ ამ ბოძებს, ყმაწვილები მათ ახლოს ამართულ ბოძებთან მივიდნენ.

— შეხედე ახლა მალა; თითოეულ ბოძში მსხვილი მავთული გადის. ეს მავთული ისე ტრიალებს, რომ დატვირთული ქვაბები შავი ქვით ქვევით მიაქვს და იქ ცლის, ხოლო იმ მეორე წყება ბოძების მწკრივზე ცალაერები უკან ბრუნდებიან, შემდეგ ისევ იტვირთებიან და ასე შემდეგ. ასეთი საშვალებით ძალიან ადვილია შავი ქვის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე გადატანა.

ამ დროს უკვე გვირაბს მიუახლოვდნენ. შავად გამურული მუშები ფუსფუსებენ, ზოგი შავ ქვას არჩევს, ზოგი პატარა რონოდებს ტვირთავს.

— ზანგები ხომ გაგიგონია, ვახტანგ? განა ისინი ამათხე შავი იქნებიან? შეხედე აგერ, მუშამ რომ

გაიცინა, შავ სახეზე თეთრი კბილები როგორ უხდებოდა! — შენიშნა გოგიმ.

— ესენი ხომ ზანგები არ არიან, ესენი ჩვენი ხალხია, ის კი არა, ჩვენც გავშავდებით შავი ქვის მტვერით.

შევიდნენ გვირაბში; გვირაბი ელექტრონითაა განათებული. შორიდან ყრუ გუგუნნი, ნიჩბებისა და წერაქვების ხმაური მოისმის.

— მუშები მუშაობენ. დედა, რა საშინელია, ნუთუ მამაც ამისთანა გვირაბში მუშაობს? რომ ჩამოინგრეს?

— არა, მაგრე არაა საქმე, რომ ჩამოინგრეს. ეს უწინ იყო, ნიკოლოზ მეფის დროს, როდესაც გვირაბის კედლებს ხეირიანად არ ამაგრებდნენ. მუშების სიცოცხლესაც არაფრად აგდებდნენ. თუნდ ერთი მუშა მომკვდარიყო, თუნდ ერთი ძალი ასე იყო მაშინ. დღედაღამეში მთელი თორმეტ საათი მუშაობდნენ. გვირაბში თუ რომელიმე მუშა უბედური შემთხვევის გამო მოკვდებოდა, მისი ოჯახიც აწიოკდებოდა, მაგრამ ვინ ათხოვებდა მას ყურს. ახლა ასე აღარ არის; ჩვენ ვმუშაობთ მხოლოდ 7 საათს, უზრუნველყოფილი ვართ ყველაფრით, უბედური შემთხვევა წინასწარ მიღებული ზომების გამო არ მოხდება, და თუ მოხდა, მუშის ოჯახი მაინც უზრუნველყოფილი იქნება, მას ჩვენი მთავრობა დაეხმარება.

ასე ახსნა შავი ქვის მუშების მდგომარეობა ერთმა მუშამ, როდესაც გოგის სიტყვებს ყური მოჰკრა.

გვირაბის ნახვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა გოგიზე. შემდეგ ქვევით დაუყვენ და შავი ქვის სარეცხ ქარხანას მიუახლოვდნენ.

— შევიდეთ, — სთქვა ვახტანგმა, — აქ ბევრი ნაცნობი მყავს, შეგვიშვებენ.

ახალ გაზრდებმა დაათვალიერეს შავი ქვის სარეცხი ქარხანა და ის მუშები, ვინც იქ მუშაობდნენ. ქარხანას გუგუნნი გაჰქონდა. გარეცხილ ქვას განსაკუთრებული მანქანები რონოდებში ჰყრიდნენ, რომლებიც რკინის გზის ხაზის ახლო გამოდიოდნენ და და იცლებოდნენ.

მდინარე ყვირილა კუბრივით გაშავებული მიიზღაზნებოდა გამურულ ხეობაში.

— ვახტანგ, შეხე, როგორი შავია ყვირილა! საჩხერეში რომ წმინდაა, აქ რამ გააშავა ასე? ნეტავი მეღნად არ გამოდგება?

— მერე რაა, შავი ქვა აშავებს.

— თევზები სულ აღარ იქნება ამ მდინარეში, დაიხოცებოდნენ.

— არა, გოგი, შავი ქვა თევზებს არ ვნებს, არც აღამიანებს ვნებს მაინცდამაინც; მაგრე რომ იყოს, ეს მუშები აქამდე სუყველანი მოკვდებოდნენ.

მიუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც რკინის გზის რონოდები იტვირთებოდნენ შავი ქვით.

ვეებერთელა მანქანა თავის უზარმაზარ დინგს შავი ქვის ფხვნილის გროვაში შეჰყოფდა, რამოდ-



ნიმე ათეული ფუთის წონას ერთად აიღებდა ხოლმე, შემდეგ მაღლა აიშარებოდა და ღია რონოდის პირდაპირ თავის პეშვის მაგვარ დინგს გადმოაპირქვაებდა. ამნაირად რონოდები საჩქაროდ იტვირთებოდნენ.

საოცარი სანახაობა იყო ყოველივე ეს გოგისათვის. სოფელში როცა დაბრუნდება, უსათუოდ უნდა წამოიყვანოს თავისი ამხანაგები, უნდა ანახვოს ეს საკვირველებანი.

— ვახტანგ, დაინახე ეს ქვაბებიც: ხომ არ მოქრაობენ ბოძებზე მიმაგრებულ მავთულზე, გაღმა სერიდან რომ გამოღმა გამოდიან?

— მართალია, მაგათ ბოძები არ აქვთ, მაგრამ მაინც მავთულზე დასრიალებენ, ისე, როგორც ზევით. გაღმიდან მავთულის ერთ ხაზზე დატვირთული ქვაბები მოდიან, აქედან კი ცალიერები მიდიან მეორე მავთულის ხაზით.

— რომ გაწყდეს ეს მავთული და ძირს ჩამოვარდეს ქვაბი?

— როგორ ფიქრობ, აქედან რომ არ იხედება მავთული, იგი წვრილი გვონია? არა, ისეთი მსხვილია, რომ მისი გაწყვეტა არ შეიძლება.

ამნაირად ბევრი სხვადასხვა სანახაობა ანახვა იმ დღეს ვახტანგმა გოგის. გამურული სახლები, შავი



პიონერები სანიტარული წრისათვის კერავენ ტანსაცმელს

ქუჩები, ზანგების მაგვარი მუშები, შავ ქვაში ამოსვრილი ურმები ხარებით და მეურმეებით, მფრინავი ქვაბები და გრძელდინგიანი რკინის გზის რონოდების სატვირთავი მანქანა გონებიდან არ შორდებოდა გოგის და ძალზე კმაყოფილი საღამოს დეიდასთან დაბრუნდა ვახტანგთან ერთად.

ერთ კვირას დარჩა გოგი დეიდასთან. ამ ერთი კვირის განმავლობაში არც ერთი დღე არ გაუშვია ისე, რომ ჭიათურაში არ ჩასულიყო და არ დაეთვალიერებია ხელობა, თითქოს არ იყო დარწმუნებული იმაში, რომ მას ჭიათურაში ყველაფერი ნახული აქვს.

ამერიკელების ნახვის ძლიერი სურვილი ჰქონდა, ისინიც ნახა, მაგრამ ისინიც ხომ ჩვენისთანა ადამიანები არიან, რატომ გვეჯობნიან ისინი სწავლით? ეს აზრი უტრიალებდა გიგოს თავში.

### 5. დაბრუნება.

შაბათს ნაშუადღევს ორ საათზე ამოუარა მამა გოგის დეიდასთან და თავისი სოფლისაკენ გაეშურენ.

მეორე დღეს, კვირას, გოგი პიონერ-კოლექტივში თავის ამხანაგებს გაცხარებით უყვებოდა ყოველივე მას, რაც ნახა ჭიათურაში.

პიონერთა კრებაზე საკითხი დასვა ჭიათურაში ექსკურსიის მოწყობის შესახებ; ერთხმად გადაწყვიტეს ასეთი ექსკურსიის მოწყობა მასწავლებლების დახმარებით. ვადად დასდევს ორი კვირა. ამ ორ კვირაში საექსკურსიოდ უნდა მომზადებულიყვნენ. თითოეულ პიონერს უნდა წამოეღო თავისი წიგნაკი და ყოველივე დაკვირვება და შთაბეჭდილება იქ უნდა ჩაეწერა.

დ. ციციშვილი



# შრომის დღესასწაული

გაზაფხული იდგა. გლეხები მოუთმენლად შეს-  
ცქეროდნენ ცას და ელოდნენ პირველ წვიმას.

მინდვრებზე უკვე გაჩნდნენ თავთავის მწვანე  
ძაფები, თითქოს იწურებოდნენ გვალვისაგან, ელოდნენ  
წვიმის გამაცოცხლებელ წვეთებს... დიდი სოფელი,  
შორეული მდინარის ნაპირზე გაშენებული, მტვერში  
იჩობოდა.

სოფლიდან მდინარისკენ მიიმართებოდა საურ-  
მე გზა, გვერდებზე კი გადაშლილი იყო ხნულეები.  
გზაზე მოგზაურობდნენ გლეხები და აყენებდნენ  
მტვრის ღრუბლებს.

მხოლოდ მდინარე არ იყო მტვრის ღრუბლით  
დაბურული, და მზის სხივები თამაშობდნენ წყლის  
ზედაპირზე.

მდინარის პირას ხმაურით თამაშობდნენ ბალ-  
ლები, იჭერდნენ თევზს, სეირნობდნენ ნავებით და  
ცოცავდნენ ბორანზე, რომელსაც განაგებდა მოხუ-  
ცი ქიტესა ლეკიშვილი, სამხედრო გემის ყოფილი  
მატროსი.

ლეკიშვილის შვილი ნიკალა ყოველთვის მამის  
გვერდით იყო და შეელოდა მას ბორანზე მუშა-  
ობაში.

ნიკალა თხუთმეტი წლისა იყო, მაგრამ არა-  
ფრით არ ჩამორჩებოდა მამას მუშაობაში. სუფთა  
ჰაერზე მუშაობით ის ღონიერი და გაბედული გახ-  
და. ისე ელაპარაკებოდა მოზრდილებს, როგორც  
მოზრდილი. ბავშებს, რომელნიც იცნობდნენ ნიკა-  
ლას, შურდათ მისი ქცევა და ცდილობდნენ ყველა-  
ფერში მისთვის წაებაძათ.

მაგრამ ნიკალას, მიუხედავად იმისა, რომ  
უყვარს თავისი ოფლიანი ცხოვრება ბორანზე,  
ღრმად ჩაენასკვა გულში დარდი ქალაქზე, სადაც  
შეიძლება სწავლა და ბევრი რამის გაგება... ზოგ-  
ჯერ ის შურით უყურებდა ბავშებს, რომელნიც  
უდარდელად დახტოდნენ მდინარის ნაპირზე. და

როგორც უყურებდა მათ, ღრმად ჩაფიქრდებოდა.  
მას ფიქრიდან გამოიყვანდა ხოლმე მამის ხმა:

— ეი! ნიკალა, დაიწყე!

— კარგი! — სერიოზულად უბასუხებდა ნიკალა  
და ორივე ხელს მოჰკიდებდა მდინარის გასწვრივ  
გადაჭიმულ ბაგირს. ბორანი, თითქოს არ უნდაო,  
ნელა შორდებოდა ნაპირს და ზარმაცად მიიზღაზ-  
ნებოდა მდინარეზე.

## II

პირველი მაისია, და ყველა სოფლიდან იკრი-  
ბებიან გლეხები დაბაში შრომის დღესასწაულზე.

მებორნეებს ისე მარდალ უხდებოდათ მუშაო-  
ბა, როგორც არასოდეს. დილიდან სიცხე სდგას;  
გლეხები ქარიშხლის მოახლოებას გრძნობენ. ოფ-  
ლისაგან სველი ხალათები ტანს ეკრობა.

ნიკალა შურით უყურებდა გლეხებს, რომელ-  
ნიც ნაპირზე სეირნობდნენ; განსაკუთრებულად უყუ-  
რებდა კომკავშირლებს, რომელნიც ქალაქიდან ჩა-  
მოსულიყვნენ.

ნიავეს მოაქვს თან სოფლიდან ბრბოს ხმაურო-  
ბა და მუსიკის წკრიალი; ნიკალა ყურს უგდებს...

— მამილო! — ამბობს იგი. — რა უნდა გთხო-  
ვო, იცი?

— სთქვი, რა გინდა?

— გამათავისუფლე... გამიშვი. სწავლა მინდა.  
დღეს ყველანი სწავლობენ...

მებორნე ქიტესა ჩაფიქრდა. მძიმეა მათი შრო-  
მა; როგორ გაუძღვება ბორანს უბიჭოდ? სწავლაზე  
კი მან სიმართლე სთქვა — სწავლა დიდი საქმეა.

ნიკალა მაინც თავისას გაიძახოდა:

— მამილო! სწავლა მწყურია... ნეტავ როგორ  
მე მოვხვდე კომკავშირლებში... სასარგებლო კაცი  
ვიქნები.

ბორანი ხალხით ივსებოდა. მამამ ანიშნა:

ქართული  
საბჭოთაო

— მოუსვი!  
ქარი ძრეულდებოდა, იერიშით დაეძგერა ბორანს...

აზვირთდა მდინარე, ცაში ხშირი ღრუბლები აირია.

წყლის თავზე ბორნის ბაგირი ხან აღმა იწევდა, ხან დაღმა, ხანდახან ტალღებშიც ცურავდა.

დიდი ძალა დაადგათ მებორნებს: ქარი და ზვირთები აქეთ-იქით აქანებდა ბორანს. ორივემ იგრძნეს კიდევ დაღლილობა. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოსდიოდათ. ესენი უკანასკნელ ძალ-ღონეს ხმარობდნენ ბაგირის ამოსაწევად.

ამ დროს ბორანზე თანდათან იზრდებოდა ნორჩი ხმების გამამხნეველები სიმღერა, რომელიც

აყუჩებდა ქარის შრიალს. ეს იყო შრომის ჰიმნი და მღეროდნენ მას ახალგაზრდები, რომლებიც პირველ მაისს დღესასწაულობდნენ. ქიტესა ხანდახან გვერდზე გადახედავდა გატურნულ და ჩაფიქრებულ შვილს. ის ფიქრობდა იმაზე, თუ რა ძნელია მათი სიცოცხლე და რა აუტანელი ტვირთია ნიკალსთვის ეს ჯაფა მუშაობა.. ნიკალა კი ჭკვიანი ბიჭი იყო, ყველაფერზე გამოსაყენებელი და უნარიანი. ის ყველაფერს აკვირდებოდა, ყველაფერი აინტერესებდა. ჰკითხავდა ხოლმე ხალხს იმნაირ ამბებსაც, რაც ქიტესას ფიქრადაც არ მოჰსვლია არასოდეს. ნუთუ ის სამარის კარამდე ბორანზე უნდა მუშაობდეს?

ძველ მებღვაურსაც არა ერთხელ უფიქრია თავისი შვილის სვე-ბედზე და მომავალზე. ცუდი



კოლექტივის საბჭოს კრება.

არაა გაუშვას ბავში და აიყვანოს ამხანაგად ბორანზე უფრო მოზრდილი, მაგრამ... ეშინია: ვაი თუ წახდინონ ქალაქში მარტოდ დატოვებული, უმამოდ? მერე რა ხალხია ახლა: უფროსები არა სწამთ, ნამეტნავად ამ კომკავშირელებს... ყველაზე ჭკვიანებად მოაქვთ თავი... ნიკალაც იმათკენ იწევს...

ქიტესამ შეხედა შვილს, რომელიც მთლად გაწითლებული და შუბლზე დაჭიმული ძარღვებით მორჩილად სწევდა ბაგირს თავისი ნორჩი ხელებით.

ზვირთები კი სულ მალლა მალლა იწევდნენ, მერე შხრიალით ეშვებოდნენ ძირს და მისდევდნენ მდინარეს; ბორანი შეუპოვრად ეკვეთა მათ, მაგრამ უკანვე ვარდებოდა, როგორც ნაფოტი; შავ ღრუბლებში გაიფლავა, მას მალე ქუხილიც მოჰყვა. ბორანი მძიმედ მოძრაობდა, არც კი მიეტანა შუა მდინარემდე, რომ გაჩერდა კიდევ თითქმის. მებორნებს ძალ-ღონე გამოეღიათ.

მაშინ ბორანის ბაგირს მიჰხედეს და ხელი მოჰკიდეს იმათ, ვინც მეორე მხარეს გადადიოდა პირველი მაისის დღესასწაულზე დასასწრებად.

ნიკალამ შენიშნა, რომ ძლიერი ქარი მოჰქროდა ნაპირიდან პირდაპირ ბორნისაკენ; მან იმწამსვევე გაიგო მამის ძახილი:

— ნიკალა, დაიქი, არ გაუშვა ბაგირი.

ბაგირი ძალზე დაიჭიმა. თუმცა მებორნები ძალით იჭერდნენ მას, მაგრამ ქარმა და ტალღებმა, რომლებიც სცემდნენ ბორანს, გადააგდეს იგი; ის გაიჭიმა და ხელში გაუსხლტა მებორნებს. ცოტა გაწყდა, კინალამ თან გადიტანა მაყურებლები. ბორანი ქანაობით გაჰყვა მდინარეს.

მგზავრები დაიბნენ, ატყდა განგაში, ისმოდა ჩივილ-გოდება. მდინარის ნაპირებიდან გულისფანცქალით ხალხი თვალყურს ადევნებდა ბორანს, თანაც არ იცოდნენ რა ეშველათ.

ქიტესა თავზარდაცემული უაზროდ დარბოდა ბორანზე, არ იცოდა რა ექნა. უცბად მოესმა ნიკალას ხმა:

— მამილო! მოიტა მარქაფი ბაგირი!... ჩქარა!

ქიტესამ მისცა შვილს. ნიკალა გადახტა წყალში. ხელში ბაგირი ეჭირა და ცოტა ხნის შემდეგ მარდად მიცურდა ნაპირთან.

ნაპირზე აუარებელმა გლეხკაცობამ მოიყარა თავი: ისინი ბორანს მოსდევდნ. მათ დაენახათ, როგორ ებრძოდა ნიკალა მდინარეს, ბევრჯერ ქანც-გაწყვეტილი იძირებოდა და, ენერჯის მოკრფევით, ისევ ამოტივტივდებოდა ხოლმე... ეს მძიმე ბაგირი ძირს სწევდა მას. წამდაუწუმ ელეოდა მას ძალღონე და სუსტდებოდა. გონებასაც კი ჰკარგავდა.

ხელდახელ ამ ნაპირზე გაჩნდა ახალგაზრდების ჯგუფი. მათში სამმა გაიხადა ტანისამოსი და ისკუბეს წყალში, რომ მიშველებოდნ ნიკალას. ორმა ამოსწია ბაგირი, მესამე ნიკალასთან მიიჭრა, გონს მოჰყავდა.

რის ვაივავლახით ოთხივე გამოვიდა წყლიდან ნაპირზე.

რამდენიმე გლეხმა ბაგირი შემოახვია ერთ დიდ ხეზე. ბაგირი დასჭიმეს, ბორანი გაჩერდა, ბოლოს შეინძრა და ნება-ნება უახლოვდებოდა ნაპირს...

ნაპირზე გაუნძრევლად ეგდო ნიკალა... მას გარშემო ეხვია ხალხი და ცდილობდნ მოეყვანათ გრძნობაზე.

ქიტესა ჩუმად იცრემლებოდა, მან იცნო შვილთან შემოგროვილ გულშემატკივარ ყმაწვილებში კომკავშირელები და ძმობილები. ისინი განკარგულებას იძლეოდნ:

— ჰე! ბალებო! მოიტათ წყალი!... ჩქარა! — ეხმარებოდა კომკავშირელი: — საჭიროა ხელების ოდნავ მოძრაობა... მხოლოდ თავთან ახლო... მას ხელოვნური სუნთქვა სჭირდება, გესმით? უყურეთ... ამოისუნთქა, სახეზე ფერი მოუვიდა.

— თვალს ახელს!



მოწაფეები ვარჯიშობენ.

— მარჯალაც ყოჩად! გმირია, გმირი!  
— ახლა წაიყვანეთ, დაასვენეთ... ნელა!

როდესაც ნიკალაც მოსულიერდა და თვალი გაახილა, მას ეჩვენა, რომ დღეს ირგვლივ მეტად ბევრი სინათლე და შუქია.

პირველად ნიკალამ დაინახა მამა, მერე — მხიარული კომკავშირელები, რომლებიც მას ამას წინათ დილით შურსა ჰგვრიდნ... მამა ალერსიანად უსვამდა ხელს ქოჩორზე.

ვილაცა ქალმა უთხრა ამ ჯგუფს:  
— დაისვენა საცოდავმა!

ნიკალაც ადგა, ჰკითხა მამას:

— სადაა ჩვენი ბორანი? უნდა მოვათრიოთ როგორმე.

მამამ ხელი ჩაიქნია, ერთმა კომკავშირელთაგანმა კი უთხრა:

— ყველაფერი მოგვარებულია, ნიკალა. დღევანდელ დღეს შენ და მამაშენი სხვეებმა შეგცვალეს. თქვენ ცოტა მუშაობა კი არ გადაგხდათ ცხოვრებაში... წადი, ძია, დაისვენე, ნიკალას ჩვენ მოუუვლით, თან წაიყვანთ. ნუ გეშინიათ, გამოიძინებს და ისევ დაგიბრუნდებათ შინ...

წამოხვალ ჩვენთან, ნიკალა?  
— თავისთავად ცხადია!

ნიკალა დიდის ხალისით და სიამოვნებით ვაჰყვა კომკავშირელებს...

ქიტესა ვაჰყურებდა მათ და ფიქრობდა:

„ნეტავ რათ მეშინოდა მათი? მათ შვილი გადამირჩინეს სიკვდილს“.

ქიტესას ფიქრები კიდევ უფრო შორს მიდიოდა:

— იცინიან... ნიკალას მოეხვიენ... თითქო ნათესავები არიან... გარდა ამისა, ნამდვილი ამხანაგია, გმირია!...

მზეც ისე პირნათლად აშუქებდა და კამკამებდა, თითქო უხარიაო... სოფლიდან განუწყვეტლივ მოისმოდა ხალისიანი სიმღერა და მუსიკა. ამ სასიამოვნო ხმაში რაღაც დიდებული იგულისხმებოდა, რასაც შეეძლო და შეუძლია კიდევ მოერიოს მთელ მსოფლიოს...

ნიკალა ეუბნებოდა კომკავშირელებს:

— მე შემძლია ჩავეწერო კომკავშირში?

— რასაკვირველია. შენ უნდა ჩავეწერო კიდევ!



# ტყის დღე

გაზაფხულის მოახლოვება ყველას ანეტარებდა. ტყეს კი სიხარული არ ეკარებოდა. გულამოსკვნილი კვნესა ისმოდა:

— რა კარგია გაზაფხულის დღეა. იგი წყაროა სიცოცხლისა!

— ჩვენ კი გვაშინებს გათენება. ჩვენ საშინელი განსაცდელი მოგველის ადამიანისგან.

— სხვა უნდა სტკებოდეს გაზაფხულის განთიადით, ჩვენ კი ადამიანი უნდა გვემუქრებოდეს გადაკაფვას.

— ვაიმე, ვაიმე!.. საცაა ამოვშრები!— ყრუ ტკივილით ამოიკვნესა წყარომ. — რაც ადამიანმა გაჩანაგება უწყო ტყეებს, — გვადუვას თავი ვერ დავახწიე. ლამის მთლად ამოვშრე. წინეთ კი საამო ჩქაფაჩქუფი გამქონდა.

— იშვიათი რომელიმე ჩვენთაგანი თუ კვდება ბუნებრივი სიკვდილით. მთელ ტყეს პირადებით გვჩხავს.

— ვისაც კი ხელები ექავება, უეჭველად გვჩორკნის. შიგ გვერდში ჩაგვისობს ცულის პირს, თუნდა მოქრაც არ უნდოდეს. იმასა ჰგონია, ხმას რომ არ ვიღებთ, არ გვტკიოდეს. ზოგი ისეთი ჭრილობაა, რომ ძლივს გვიხორცდება. ზოგი სულაც მოუშუშავი რჩება და გული გვიფუტუროვდება.

— იმ დღეს მოქეიფებმა ეტლებით ამოიგრიალეს, — მოიგონა მწუხარე ამბავი წიფელმა, — სივრცე გააყრუეს სიმღერით, დაგვიწიოკეს ჩიორები, კვერნები, შვლის ნუკრები. ჯერ იგრილეს ჩვენს ჩრდილში, შემდეგ, მადლობის ნაცვლად, ტოტები მოგვამტვრიეს და ეტლი იმითი მორთეს.

— მეგობრებო, თქვენ ბევრ რამეზე მოიჩივლეთ, მაგრამ რატომ მონადირეებსა და მეჯოგეებზე კი არას იტყვი, — ჩაერია საუბარში ბზა. — იმათი ბრალია, რომ ხანძარი გავვიჩნდება ხოლმე.

— რაო? ხანძარია? — შეშფოთდა ნორჩი ნაძვი. ამას ეგონა ცეცხლი გაჩნდა და ააკანკალა, ძლივს დააშოშმინეს.

— რა ვქნა, დაშინებული ვარ. ყველა რომ გადაურჩეს ცეცხლსა, მე ვერა მიშველის რა, უცბად მომედება. საწყალი ჩემი ძმები იმას გაუჩანაგებია.

გადაჰხედა ნაძვი თვის დაღუპულ მოყვასებს და თვალები მოუცრემლიანდა.

— არ იცის იმ უკეთურმა ადამიანმა, რასა სხადის, — წარმოსთქვა ფოთოლშრილა ვერხვმა. — ჩვენ ხომ გვიმწარებს სიცოცხლეს და თავის თავს უარეს დღეს აყრის. მისი სიმდიდრე ტყეა და მალე იგი მთლად შემოეღვევა.

ჩვენს ამოვარდნასთან ერთად ცხოველები და ფრინველებიც ისპობიან.

ირემი, შველი, ჯიხვი, გარეული ღორი, კვერნა, დათვი, წავი, ხოხობი, მიმინო და რომელი ერთი ჩამოვთვალო, — ყველა ესენი თანდათან მცირდება.

— ეჭვ! ჩვენს უბედურებას არაფერი ეშველება, თორემ ადამიანს დაუსჯელად არ ჩაუვლის ტყის ასეთი გაჩანაგება. თუ წინეთ ჩვენს მახლობლად თურაშაულივით წითური ხალხი ცხოვრობდა, — ახლა მთლად გადაყვითლებულია. ტყე შეთხელდა და მკაფბადი არა ჰყოფნით. ლამის მთლად გაუკაცრიელდეს ეს სოფელი, აკი სახელიც ზედგამოჭრილი ჰქვიან: „არ აშენდა“.

## II

საღლაც ფაჩიფუჩი გაისმა.

ტყეში წიოკობა ატყდა.

— რა ამბავია, კიდე რაიმე უბედურება ხომ არა არის რა ჩვენს თავსა?

— ადამიანი მოდის, ადამიანი! — მოცანცალებდა გულგადაქანებული კურღლედი, რომელიც კაცს შეჭფეთებოდა და ტყეს ატყობინებდა.

ტყეს ჟრჟოლამ დაუარა.

ყველა გაჩუმდა.

მართლაც გამოჩნდა ადამიანი.

ხელში ცული ეჭირა.

ყველა ცდილობდა შრიალ-ჭრიალი შეეწყვიტა, რომ ადამიანისგან შეუმჩნეველი დარჩენილიყო. მხოლოდ ბებერი რცხილა არ ისვენებდა.

— რა გინდა, ადამიანო, რამ გავაფხზინანა? რას დაეძებ ჩემს შვილებს? მე მომჭერ და გაათავე, მე აღარაფრად ვარგივარ. ზრდასაც ვუშლი ნორჩ ხეებს. წამილე. გამომიყენე, ოღონდ ჩემს პატარა შვილებს ნურას ავნებ. შეიბრალებ, ნუთუ შენ კი მამა არა ხარ? არა გყვანან შვილები? განა მათ ასე ადვილად დაუთმობ მტერს?

ადამიანს ჩივილმა გული არ აუჩუყა.

იგი აღხეინად მივიდა რცხილასთან და კრა დაუწყა.

ხანგრძლივი კაკუნის შემდეგ კრიალი გაისმა და რცხილა ლაწალუწით გადაეშვა.

სახელოვან გმირსავით დაეცა უთანასწორო ბრძოლაში.

თვით ხომ დაიმხვრა და ბევრ ხესაც მშვენიერი ყლორტები ჩამოახლიჩა.

შეგინებული ეგდო ძირს დამარცხებულის გვამი. და სტიროდენ მისი ნათესავები.

— რა ლამაზი, მოხდენილი იყო წელან რცხილა!

— როგორ ამშვენებდა აქაურობას!

— ახლა კი რას დამსგავსებია!

— ერთ საათში გადასჭრეს ის ხე, რომლის გაზრდას, დევეჟკაცებას და გამოკვებას დედამიწამ მრავალი წელი მოანდომა!

### III

— რა ვქნა, ადამიანის შიში არ მეყოფა, რომ ახლა შენ არა მჩაგრავდე? რას ვადამეთარე და სულს მიხუთავ? — უთხრა ყვედრებით წაბლმა ცაცხეს, რომელიც ხშირი ტოტებით გასაქანს აღარ აძლევდა წაბლის ქორთა ტოტებს.



პიონერების მიერ გაკეთებული თვითმფრინავის მოდელი.

— გეთაყვათ, ეს ვინ არის? ისე გაბარჯდლულა, რომ ლამის მთლად გამსრისოს, — დაიკვნესა თრიმლმა და შეეცადა კვრინჩხისათვის გზა აეჭკინა.

— ამ ფითრს ისეთი რა დავუშავე, რომ სიცოცხლეს მისწრაფებს?...

— ძმებო, დებო, უთხარით რამე ეკლის ბარდს... ეს დანელებული არ მანებებს საზრდოს. — ემუდარებოდა ყველას იფნი, მაგრამ ვის ეცალა მისთვის, როცა თვით ჰყავდათ მოსაგერიებელი ფათალი, სურო, ღიჭი და სხვა ხვიანა მცენარეები, ან მწერები.

### IV

ხეები რომ ამ საცოდაობაში იყვნენ, — შორიდან მოისმა მქახე, ძლიერი მოძახილი. ეს ხმები ეკუთვნოდა ფიქრზვიად, გულსავსე ბავშებს.

მოდოდენ ისინი ტყისკენ და თან მოჰქონდათ განუზომელი მზიარულება.

მათთან იყო მასწავლებელიც, რომელსაც ბავშვები ყაყაჩოებსავით შემოფრქვეოდენ.

როცა მათ სიმღერა მოათავეს, შეუდგენ ტყის დათვლიერებას, თითოეულმა რგოლმა ცალკ-ცალკე იწყო დაკვირვება.

— მასწავლებელო, — მოიბრინა მასთან ერთმა ბავშვმა, მე მეგონა, რომ ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ადამიანებში სწარმოებდა. აქ კი ისეთი სურათია, თითქოს ამათშიაც ბრძოლა იყოს გაჩაღებული.

— რამ მიგიყვანა მაგ დასკვნამდე? — შეეკითხა მასწავლებელი და თვალეები სიხარულისაგან გაუბრწყინდა:

დაინახა, რომ მისი მოწაფენი დიდ დაკვირვებას იჩენდნენ.

— აბა, გახედეთ, მასწავლებელო, ხეებს. ზოგი მაღალია, დიდია, ჯანსაღია. ამაყად ატყორცნილა სივრცეში. ზოგი კი დაბალი, მოკრუნჩხული, თითქოს დაკუტებულიყოს. მზისკენ მიიწევს, თავი კი ჩრდილისთვის ვერ დაუხწევია. ამაოდ ცდილობს წელში გასწორებას. აქაც, როგორც ადამიანთა შორის, სასტიკი ბრძოლა ყოფილა გამართული სიცოცხლისთვის, მზისთვის, სივრცისათვის, საკვებისათვის.

— დიახ, ჩემო პატარა მეგობარო! შენ სიცოცხლის დიდებული კანონი შეგინიშნავს. ტყე იგივე საზოგადოებაა. როგორც ადამიანთა შორის, აქაც დამკარებულია ორნაირი ურთიერთობა. ერთი მხრივ ბრძოლა არსებობისათვის, ერთმანეთთან შეტაკება, მეტოქეობა, და მეორე მხრივ—თანამშრომლობა. რიგი იმარჯვებს, რიგი მარცხდება. აქა ვხედავთ ბუნების დიადი თვისების გამომჟღავნებას, შერჩევას. იმარჯვებს უფრო თამამი, ძლიერი, ჯანსაღი, სიცოცხლისათვის უკეთესად მომზადებული, სიცოცხლის უნარიანობის ჭარბად მქონე.

ასეთია, მეგობრებო, ტყის ცხოვრება. მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, არამედ ის, თუ ადამიანი რა გაუგონარი დაუნდობლობით ეკიდება ტყეს..

ყველას წინაშე გადაირბინა ტყის თავგადასავალმა.

— რამდენს სიკეთეს გვიშვრება ტყე და მაინც მისი ყადრი ვერ ვისწავლეთ.

— იგი გვინახავს გვალვისაგან, წყალდიდობისგან, მდინარეთა დაშრობისგან, მეწყერისაგან.

— ტყე აპოხიერებს და აფხვიერებს ნიადაგს.

— ტყე აყუჩებს მძლავრ, გაშმაგებულ ქარებს.

— ტყის კულტურის დაცვას ჩვენს მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

— უტყეოდ ერთ ნაბიჯსაც წინ ვერ წავდგამთ.

— დაავადყოფების მთავარი მიზეზი უტყეობაა.

— სუსტი, მკერღჩავარდნილი, ფილტვებდასნეულებული ადამიანის მშველელი ტყეა.

— მივიღოთ ზომები ტყის გადასარჩენად, ნაპირების გასამაგრებლად.

— ტყე ყველას უგულითადესი მეგობარია, თვითონ კი მეგობრები არა ჰყავს.

— დავაარსოთ ბუნების დამცველთა საზოგადოება.

— მოკლე ხანში მოვაწყოთ „ტყის დღე“.

როდესაც მოწაფეებმა კარგად აგემეს მომავალი მუშაობა, ალერსით გამოემშვიდობნენ ტყეს და მზიარული სიმღერით შინ დაბრუნდნენ.

V

ტყემ სიხარულისაგან საამო შრიალი მორთო. ბევრ ხეს არც კი სჯეროდა ეს ამბავი.

ისინი მხოლოდ მაშინ დარწმუნდნენ ახალგაზრდების გადაწყვეტილების სიმართლეში, როდესაც „ტყის დღე“ დადგა.

ასეთი დღესასწაული დიდი ხანია არავის უნახავს.

მოწაფეობა მასში ღირსეულ მონაწილეობას იღებდა, როგორც შრომის არმიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ახალგაზრდები იმდენს ცდილიყვნენ, რომ დაეარსებინათ ბუნების დამცველთა საზოგადოება.

მოზღვავდა ტყესთან დიდძალი ხალხი.

თავდაპირველად დაზიანებულ ტყეს შესაკრავად გარს შემოაურთვეს: კატაფშატა, ქაცვი, ჩიტავაშლა, ქრისტეს გვირგვინა, თეთრი აკაცია, რომელნიც ცოცხალი ღობისთვის საუკეთესო ჯიშებად ითვლებიან.

მოზღვეული ფერდობების გასამაგრებლად ჩაჰყარეს: თრიმლი, ლედვი, ბროწეული, ტირიფი.

ერთი მშვენიერი ტყის ნაკვეთი, საცა რვაასწლოვანი ჭანდარი სიდიადით იდგა—ბუნების ხელშეუხებელ ძეგლად გამოაცხადეს.

მნიშვნელოვანი ადგილების ხის კაპებზე შემდეგი შინაარსის პლაკატები იყო ჩამოკიდებული:

— ხეები ფესვებით მდინარეთა ნაპირებს ამაგრებენ.

— ხეები აჩერებენ რიყეების ზრდას.

— ხეები წყალდიდობისგან გვიცავენ.

— ხეები ჰაერს ასუფთავებენ და ადამიანს აჯანსაღებენ.

— ხეები იძლევიან ქაღალდს, კურნებითი თვისების მქონე წამლებს და ბევრ სხვა ჯილდოს.

— გაუფრთხილდით ადამიანის უძველეს მეგობარს ტყეს.

— ტყის მკვლელი კაცის მკვლელია.

VI

ამ ზეიმმა ტყეს განუსაზღვრელი სიამოვნება მიანიჭა.

— ვიშ, ვიშ, რა ბედნიერი დღე გაგვითენდა.

— ახლა მაინც თავისუფლად დავიზრდებით.

— ძლივს მოგვიჩიებია ცულისგან დაჩნეული იარები.

— ჩვენც მოგვემატება ძალა, ძველებურის სიანციოთ ამოვიჩხუხუხდებით.

— მოგვაგონდება დავიწყებული სიმღერები, — წამოიძახეს წყაროებმა და ბეჭობებზე გადაჩქაფუნდნენ. ფრინველებმაც იგრძნეს, რომ იმათაც შეუძლირდათ მტერი და სიხარულით ცაში შეიკამარავეს.

დ. თურდოსპირელი.

# მსაზარი



# ულულში

ბრუნარო \*)

აი, როგორც იქნა, დაღობეს მდინარე. წყლის დონე აიწია და ჯებირს გაუსწორდა. ახლა უკვე საქმე ისაა, თუ როგორ გამოიყენონ ეს წყალი.

ძველის-ძველი ამბავია ეს, ძველთაგანვე ხალხი მოჩხრიალე მდინარეებზე ფრთიან ბორბლებს დგამდა, წყალი ფრთას ხვდებოდა და ბორბალი ბრუნავდა.

მრავალნაირად იყენებდნენ ისინი წყალს ამ მიზნით.

ჩვენში, საქართველოში, სადაც მთის მდინარეები მოჩხრილობენ, სულ სხვანაირად იყენებენ ამ წყალს.

ამისთვის უზარმაზარ ხის ნამორს უშუაზე ხერხავენ სიგრძით, მერე სატოხით ამოაღრმავებენ და ასე დიდ ღარს დაამზადებენ, მერე ამ ღარს ისევ შეაერთებენ, მაგრად შეჰკრავენ და ასე უზარმაზარ ხის მილს დაამზადებენ. ამ მილს კოდს ეძახიან. კოდს ძირს ბურლით გაუხვრეტენ და ამ გახვრეტილში წყალი ვიწრო ნაკადულად მოდის, სწორედ ისე, როგორც ონკანიდან. ამ ონკანთან წისქვილის ფრთიან ბორბალს დადგამენ, ნაკადული ფრთას ხვდება, ბორბალი დატრიალდება და ბორბალთან ერთად წისქვილის ქვაც აბრუნდება.

მაგრამ ასეთ ღარში მეტად ბევრი წყალი იკარგება ტყუილ-უბრალოდ.

ტფილისში კი წისქვილები მტკვარზე სულ სხვანაირად არის მოწყობილი და აქ ის სულ სხვანაირად აბრუნებს წისქვილს, მაგრამ აქაც წყლის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს იყენებენ.

ზაჭესში მთელ მდინარეს რამდენიმე ტინობის ლულაში უშვებენ და ამ ლულებში ბრუნარო არის მოწყობილი.

ბრუნარო ერთგვარი ტრიალაა, ამ ტრიალას ფრთებს დაქანებული წყალი ხვდება, და ტრიალაც ბრუნავს. ტრიალაზე დერძია ზემოთ აშვებული, დერძზე გენერატორია მიმაგრებული და ამ ტრიალასთან ერთად ეს გენერატორიც ბრუნავს.

გენერატორი უდიდესი და ყველაზე მნიშვნელოვანი მანქანათაგანი არის ჩვენს საუკუნეში.

მისი მოწყობილობა მეტად უბრალო არის.

ასი წელიც არ იქნება, რაც გენერატორი გამოიგონეს. ის 1831 წელს გამოიგონეს, ამ წელმა გახადა შესაძლებელი ისეთ ელექტროწარმოებათა განვითარება, როგორც არის: ელექტროძრავი, ტრამვაი, ელექტროგზები, განათება და სხვ.

პირველად მეცნიერმა ფარადეიმ მოაწყო პატარა გენერატორი. თავის ლაბორატორიაში მუშაობის დროს ის იმ აზრამდე მივიდა, რომ, თუ ელექტროდენა მაგნეტურ ძალას იწვევს, ხომ შეიძლებოდა რომ წინააღმდეგაც მომხდარიყო და მაგნეტურ ძალას ელექტროდენა გამოეწვია?

\*) დასასრული.



და, აი, ასი წლის წინათ მეცნიერმა ფარადეიმ თავის უბის წიგნაკში შედეგი სიტყვები ჩასწერა: „გადატყეულ იქნას მაგნეტიზმი ელექტრობად“.

ამ მიზნის მისაღწევად მან ცდების წარმოება დაიწყო. მავთული ოთხკუთხად მოგრიხა და მაგნიტის პოლუსებთან დაატრიალა, მაგრამ არაფერი გამოვიდა, მაგრამ როცა მან ეს მავთული მაგნიტის პოლუსებს შორის დაატრიალა, მავთულში მაშინვე ელექტრობის პატარა დენი გაჩნდა. აი აქ დაებადა მას თავში იდეა გენერატორის მოწყობისა. ელექტრობა კი არ იწვევს მხოლოდ მაგნეტიზმს, არამედ მაგნეტიზმიც იწვევს ელექტრობას.

1831 წელს ფარადეიმ ლონდონის სწავლულთა წრეში აწარმოა ამ პატარა გენერატორით ცდები და ასე ამგვარად გადასწყვიტა მან ელექტრობის წარმოშობის მთავარი ამოცანა, მაგრამ მერე გენერატორის გაუმჯობესებას თავი მიანება. ის იმ აზრის იყო, რომ მისი საქმე ახალ მოვლენათა აღმოჩენა და არა ძველ აღმოჩენათა გაუმჯობესება. მაგრამ ამ მისმა აღმოჩენამ ახალი ბიძგი წაჰკრა ელექტროტექნიკის განვითარებას. ელექტრომექანიკოსებმა მაშინვე გამოიყენეს ფარადეის ეს ბედნიერი აღმოჩენა და ერთი წლის შემდეგ დადგეს პირველი ელექტრომანქანა. ასე ჩაუყარა საძირკველი ფარადეიმ ელექტროწარმოებას.

ფარადეი ერთი ღარიბი მჭედლის შვილი იყო. ჯერ კიდევ ბავში იყო იგი, როცა მამამისმა წიგნების მკაზმავს მიიბარა შეგირდად. არ ვიცით, იმიტომ, რომ ის ბევრ წიგნს კითხულობდა წიგნსაკაზმავში, თუ ის თავისთავად იყო ბუნებისაგან ნიჭით დაჯილდოვებული, მას მუდამ სწავლისაკენ მიუწევდა გული, დადიოდა საჯარო ლექციებზე, აუარებელ წიგნს კითხულობდა და ბოლოს იმას მიაღწია, რომ ის ერთ განთქმულ პროფესორ დევისთან დაუშვეს სამუშაოდ. დევიმ ნახა, რომ ეს ახალგაზდა ყმაწვილი მეტად ნიჭიერი იყო, გულმოდგინე და ამიტომ თავის თანაშემწედ დანიშნა. ფარადეი ერთგულად განაგრძობდა მუშაობას და ჯერ კიდევ 40 წლის არც იყო, რომ ახალ-ახალ გამოკვლევებს ზედიზედ აქვეყნებდა.

ასეთი იყო მეცნიერი ფარადეი და ასე გაიკვალა ამ ღარიბი მჭედლის შვილმა და წიგნების მკაზმავმა გზა უმაღლეს მეცნიერებაში.

როგორ არის მოწყობილი გენერატორი?

გენერატორის შუაგულში უზარმაზარი ელექტრომაგნიტოა მოთავსებული და ეს მაგნიტო ელვის სისწრაფით მოქმედობს ბრუნაროს შემწვობით და ხვეულ მავთულთა მახლობლად და ამ მოძრაობით იქმნება ის უხილავი ძალა, რომელსაც ჩვენ ელექტროს ვეძახით და ურომლისოდაც ჩვენი ცხოვრება მეტად გაჭირდებოდა.

რამდენადაც მეტი ელექტროდენა ხვდება მაგნიტოს, იმდენად უფრო ძლიერდება მაგნიტო და რამდენად ძლიერია მაგნიტო, იმდენად უფრო მეტ ელექტროდენას იწვევს იგი გენერატორის შემწვობით.

გაუშვებენ მაგნიტოებში ძლიერ დენას—გენერატორი მეტ დენას იწვევს.

გაუშვებენ მცირე დენას მაგნიტოებში—გენერატორი ოდნავ ამუშავდება. როგორც გინდა ბრუნავდეს გენერატორი, თუ მაგნიტოში ცოტა დენაა მიშვებული, სულერთია, ელექტროს მაინც მცირეს მივიღებთ.

ამისთვის სადგურებზე ხელსაწყოებია დადგმული, რომლითაც დენის ძალას ზომავენ: ერთნი იმას აჩვენებენ, თუ რა ძალის დენაა გაშვებული მაგნიტოში, მეორენი კი იმას აჩვენებს, თუ რამდენ დენას იწვევს გენერატორი.

მაგრამ დიდი გენერატორის მაგნიტოებში ელექტროდენა ხომ უნდა მიაწოდოს რაიმემ. ამისთვის პატარა გენერატორებია მოწყობილი დინამოებზე და იმის საშუალებით აწოდებენ დენას დიდი გენერატორის მაგნიტოებს. იმ მავთულხლართებს, რომლის საშუალებითაც გარკვეული რაოდენობის ელექტროდენას აწოდებენ, რეოსტატი ჰქვიათ.

დიდი გენერატორი უზარმაზარ ელექტროდენას ამუშავებს, ეს დენა მოდის ზაჰსეიდან ტფილისში, ტფილისში ეს ელექტროდენა ერთგვარ ტრანსფორმატორებში გაივლის, სადაც ელექტროდენა ნაწილდება ნაკლები ღონის ელექტროდენებზე და ასე ამგვარად აწვდის ტფილისს სინათლესა და სითბოს. მთელი ის დენა რომ უტრანსფორმატოროდ გაუშვან, ისე ძლიერია ის, რომ სულ ერთიანად დასწვავდა ელნათურებს. აი ასეთი შრომა და ჯაფა დახარჯა ჩვენმა ხალხმა და საბჭოთა ხელისუფლებამ, რომ ტფილისისათვის იაფფასიანი ელექტრო უხვად მიეწოდებინა.

ზ. დარჩია.

**საბჭოთა საქართველოს პიონერებო, განამტკიცეთ ინტერნაციონალური კავშირი მთელი ქვეყნის პროლეტარულ ბავშვებთან!**

# პიონერ-აქტივის მუშაობა

საქ. პიონერ-მოდრაობის განვითარების ახლანდელი საფეხური დაყენებით აყენებს პიონერაქტივის მუშაობის გამოცოცხლების აუცილებლობას.

ჯერ კიდევ სრ. საქ. კ. კ. მე-2 კონფერენციის მიერ აღებული კურსი პიონერ-კოლექტივების მუშაობის შინაარსის გაუქობებისა და პიონერ-კოლექტივთა მთელი პრაქტიკული მუშაობის პიონერთა მოთხოვნილებებთან შეფარდების შესახებ ჯერ-ჯერობით კიდევ ყველგან არ არის გატარებული. ეს გარემოება იწვევს იმას, რომ პიონერების ზოგიერთი ნაწილი ვერ პოულობს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას მუშაობაში.

ამასთან ერთად, რაც მთავარია, ვერ არიან გამოყენებული კოლექტივის აქტიურ მუშაობაში პიონერ-აქტივისტები, მაგალითად, რგოლების წინამძღოლები, კომისიის თავმჯდომარეები, რწმუნებულები და სხვა, ამ პიონერაქტივის კი შეეძლო და შეუძლია კოლექტივის მუშაობაში ამა თუ იმ დარგის ხელმძღვანელობის აღება.

რა ნაკლი აქვს პიონერ-აქტივის მუშაობას? დღეს ბევრ პიონერ-კოლექტივში კმაყოფილებიან მხოლოდ იმით, რომ აქტიურ პიონერებს ირჩევენ რგოლების მეთაურებად, კომისიის თავმჯდომარეებად და სხვ. რასაკვირველია, ეს საჭიროა და აუცილებელიც, მაგრამ აქტივის მუშაობის მართლაც ამით შემოფარგვა არ შეიძლება.

მაშ რა არის საჭირო, რომ კოლექტივის მუშაობა აშენებულ იქნეს ისე, რომ ყველა პიონერი თავისი ასაკისა და განვითარების მიხედვით სწორად, თანაბრად იყოს საქმით დატვირთული და რომ ამ მუშაობაში იგი ხელდავდეს თავის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას?

ჩვენი მუშაობის ახალი ფორმები და მეთოდები (კონკრეტულ დავალებათა სისტემა) სწორედ ამ პრინციპებზეა აშენებული.

როდესაც პიონერ-კოლექტივი იღებს ხელმძღვანელი პიონერ-ბიუროდან კონკრეტულ დავალებას, არჩევს მას კოლექტივის საბჭოზე და იხილავს დავალების შესრულების გზებს, რგოლები უკვე უნდა იყონ გადაჯგუფებულნი პიონერთა ასაკისა და მათი უნარიანობის (და აგრეთვე მათი სურვილის) მიხედვით. ამ შემთხვევაში სამი ასაკის რგოლია მიჩნეული: 10-12 წლამდე (უმცროსი), 12-14-მდე (საშუალო), 14-16 წლამდე (უფროსი). შემდეგ ამისა დაევალებათ რგოლებზე დანაწილება იმისდა მიხედვით, თუ რომელ რგოლს რის შესრულება შეუძლია, ცხადია, უფროს რგოლს უფრო მეტის გაკეთება შეუძლია, საშუალოს უფრო მცირე სამუშაოს და უმცროს რგოლს კი სულ მცირესი.

მაგრამ ვინ უნდა იყოს ამ მუშაობის პირველი შემსრულებელი და მაგალითის მიმცემი? რა თქმა

უნდა, პიონერ-აქტივი და მათ რიცხვში პიონერ-კომკავშირელები, პიონერ-აქტივისტი უნდა იყოს მუშაობის ახალი ფორმების და მეთოდების პროპაგანდისტი და გამტარებელი, პიონერ-აქტივისტმა თავისი მუყაითი მუშაობით და მაგალითის მიცემით წინ უნდა წაიყვანოს ყველა პიონერი, რომელნიც ნაკლებად ერკვევიან ამა თუ იმ გასაკეთებელ საქმეში.

თითოეული რგოლის მეთაური დაინტერესებული უნდა იყოს და ცდილობდეს აუხსნას პიონერებს ის, რაც მათ აინტერესებთ, გამოუჩინოს გზა და ამგვარად მთელი მასა პიონერებისა ჩააბას კოლექტივის საერთო მუშაობაში. ამით კი პიონერ-აქტივისტი საქმით ხდება დამხმარე კოლექტივის წინამძღოლის, რომელიც ხშირად, სხვადასხვა საქმიანობით დატვირთვის გამო, ვერ აუღის კოლექტივის მთელ მუშაობას.

კიდევ რის გაკეთება შეუძლიათ პიონერ-აქტივისტებს? ბევრი რამის! აქ შეიძლება მივუთითოთ მხოლოდ საქმიანობის რამდენიმე დარგზე.

ყველამ იცის, რომ ფიზკულტურას ბავშვები განსაკუთრებული ინტერესით ეკიდებიან; აქ პიონერ აქტივისტს, მაგალ. რგოლის მეთაურს, გარდა რგოლის მუშაობის საერთო ხელმძღვანელობისა, შეუძლია კოლექტივში ჩამოაყალიბოს კალათ-ბურთის და „გენდბოლის“ ჯგუფები და მათზე ხელმძღვანელობის გაწევა.


ამას შესახებ სახელმძღვანელო მასალები შეუძლია მიიღოს კოლექტი. წინამძღოლისაგან, ფიზკულტურის ინსტრუქტორისაგან ან თავით პიონერ ბიუროსაგან ან კიდევ ასე: თუკი პიონერებს სურთ შეისწავლონ ესა თუ ის საქმე, მაგ. რადიო, ავიომუსიკა, ტაპოგრაფია, კალათების წვნა და სხვა, ეს პიონერები უნდა შეჯგუფდნენ კოლექტივში და ჩამოაყალიბონ წრეები. ამ წრეების უშუალო ხელმძღვანელობა უნდა იყოს პიონერ-აქტივისტებმა.

ყველა საჭირო და აუცილებელი ცნობის მიხედვით მათ (აქტივისტებმა) უნდა მიმართონ პიონერთა ბიუროს ან კომკავშირის უჯრედს. გარდა ამისა, ჩვენს პიონერ-ბიუროებს არ ჰყოფნის ძალები იმისათვის, რომ უზრუნველყონ თავისი მუშაობა. ამ მუშაობაში პიონერ აქტივისტებს, განსაკუთრებით კი პიონერ კომკავშირელებს შეუძლიათ აქტიური დახმარების აღმოჩენა.

ამ მიმართულებით თითოეული აქტივისტი პიონერი უნდა გახდეს პიონერ-ბიუროს ახლო თანამშრომელი და ეშველებოდეს საკუთბო მუშაობაში, სემინარიის, კოლექტივების გადასინჯვაში და სხვა.

აი, დაახლოვებით, ის, რასაც უნდა მიექცეს პიონერ-აქტივისტის ყურადღება.

კ. ბუჯიაშვილი.



# ემზალეთ ჯაფხულისათვის

ვინ არ უცდის ახლა მოუთმენლად გაზაფხულს, აჰ მხიარულების, ბანაკობის, ესკურსიების, მოგზაურობის ძვირფას დროს!

ყოველ ჩვენთაგანს უკვე გვიწვევს შორს პირველად გადმოფრენილი ფრინველების ხმები, ჩუხჩუხა წყაროების ლიკლიკი და ფართოდ გაშლილი დელების ჩხრიალი! არაა ჩვენს შორის არავინ ისეთი, რომელიც ახლა არ აწყობდეს ათასგვარ გეგმას, არ ოცნებობდეს ზაფხულზე, საზაფხულო ბანაკებზე და ლაშქრობაზე! მრავალი ჩვენთაგანი მზადაა სულით და გულით მალე დაიწყოს ეს სასიხარულო ცხოვრება. ამიტომ ყველა ფიქრობს: სად, როგორ, რანაირად გაატაროს ზაფხული. მაგრამ საქმე ისაა, რომ სხვა საქმეა ფიქრი და გეგმები, და სულ სხვაა მისი სინამდვილეში განხორციელება ჩვეულებრივად ასე ხდება, რომ კოლექტივები ამ სამზადისს ზაფხულისათვის აგვიანებენ, რასაც ხშირად არასასურველი შედეგები მოჰყვება ხოლმე და ამის გამო მრავალი კოლექტივი რჩება უბანაკოდ და მთელი საზაფხულო ცოცხალი მუშაობა უნაყოფოდ ტარდება. ამიტომ საჭიროა წინდაწინ გავითვალწინოთ მომავალი მუშაობის გეგმა, გამოვიყენოთ ამაში წარსული წლის მიხვევები, თუ გვქონდა ასეთი, თუ არა და ის შეცდომები, რომელიც მაშინ გვქონდა, ახლა გამოვასწოროთ.

ჩვეულებრივად ის შეცდომები, რომელიც მოგვდის ჩვენს საზაფხულო სამზადისში, იმაში მდგომარეობს, რომ გვიან ვიწყებთ სამზადისს ამ მუშაობისათვის და, რაც მთავარია, ხელს არ ვკიდებთ ბეჯითად. მაგრამ რომ წელსაც არ გამეორდეს ძველი შეცდომები, ამიტომ საჭიროა აქიდანვე შევუდგეთ მზადებას და წინასწარ გავარკვიოთ, თუ რა უნდა ვაკეთოთ და რა ვქნათ. რაა საჭირო ყველა ამ ამოცანის განხორციელებისათვის? უნდა დაისვას ახლავე საკითხი სათათბიროდ კოლექტივის წინაშე, თუ როგორ უნდა მოხდეს საბანაკოდ მოწყობა და სხვა. გადავცეს ესევე საკითხი კომკავშირის და პარტიის უჯრედებს გადასაწყვეტად, რომ მათი დახმარებით გა-

მოინახოს ყოველგვარი საშვალება. ისინი დაგვეხმარებიან ჩვენ ამ საქმეში ადგილკომების, კოოპერატივების და სხვათა თანხებით. მაგრამ მარტო ამ ღონისძიებითაც არ უნდა დავეყაროთ; იმისათვის, რომ საბანაკო მუშაობა დაუბრკოლებლად ჩატარდეს, საჭიროა აგრეთვე საკუთარი ძალ-ღონითაც გამოიძებნოს საჭირო თანხები. ეს კი შესაძლებელია შემდეგნაირად: პიონერ-კოლექტივს შეუძლია მოაწყოს ფასიანი საღამო თავისი ძალებით, მთელი შემოსავალი კი გადასდოს ამ უკანასკნელი საქმისათვის. რომ საღამო ნაყოფიერი იქნეს, საჭიროა წინდაწინ ბილეთების გაყიდვა ხელზე, დაწესებულებებში და სხვაგან. ერთი სიტყვით, აჰ საშვალეებით შეიძლება საკმაოდ თანხის მოგროვება, მაგრამ აი კიდევ ერთი საშვალება: შეიძლება მოწვეულ იქნეს მშობლების კრება, სადაც დაისმება საკითხი — ჯანმრთელობის, საბანაკო მუშაობის და ამ საქმეში მათი დახმარების შესახებ. ამას აუცილებლად ექნება შედეგი. შეიძლება აგრეთვე მოლაპარაკება რომელიმე თეატრთან, ბილეთებზე ფასის აწევა კოლექტივის სასარგებლოდ. აი, რის საშვალეებით შეიძლება გამოინახოს თანხა საზაფხულო საბანაკო მუშაობისათვის.

რასაკვირველია, ამ საქმისათვის მარტო ესეც არაა საკმარისი. დიდი შრომა დაჭირდება შემდეგ თვით ბანაკის მოწყობის საქმეს, საბანაკო ადგილის ამორჩევას და სხვა, მაგრამ, რაც მთავარია, საშვალეების გამოძებნაა ამთავითვე საჭირო. რაც შეეხება ბანაკს, კოლექტივები, პიონერები, მეთაურები თვითონ, საკუთარი ხელით უნდა შეუდგენ მის მოწყობას. ცხადია ისიც, რომ მრავალი კოლექტივი, მრავალი პიონერი ვერ შესძლებს საბანაკოდ წასვლას და მათ მოუხდებათ ქალაქში ყოფნა, რაც, რასაკვირველია, ცუდია ჯანმრთელობისათვის. პიონერმა უნდა შესძლოს როგორმე, ზაფხულის განმავლობაში დასტოვოს ქალაქი და ჯანმრთელ და თავისუფალ ადგილზე გაატაროს დრო, რომ ამით უზრუნველყოს თავისი თავი ავადმყოფობისაგან და სხვა ცუდი გავლენებისაგან.

ა. ასტაშევა.

## პიონერული საღამო მთელი ქვეყნის კრულეატარულ ბავშვებს



# მაქსიმ გორკი — მუკდამალი ხალხის დიდი მწერალი.

ახლახან შესრულდა 60 წელი რუსეთის ცნობილი მწერლის მაქსიმ გორკის დაბადებიდან და 35 წელი მისი სამწერლო ასპარეზზე გამოსვლის დღიდან. მთელი საბჭოთა კავშირი ზეიმობს უდიდესი რევოლუციონერ—მწერლის დაბადების დღეს და მოღვაწეობას.


მ. გორკი (ალექსანდრე მაქსიმეს ძე პეშკოვი) დაიბადა 1868 წელს, მარტის 28-ს, ავეჯეულობის გადამკვრელის ოჯახში. ხუთი წლისას გარდაეცვალა მამა, ხოლო ცხრა წლისას—დედა. ბავშობა გაატარა ბაბუას სახლში, რომელსაც საღებავი დაწესებულება ჰქონდა საკუთრებად, შემდეგ კი, როგორც იტყვიან, „ხალხში“ გავიდა. როცა ბაბუა გაკოტრდა, ათი წლის ბავში იძულებული გახდა თავისი შრომით მოეპოვებია პური. შიმშილი, სიცივე, მძიმე შრომა, დაცინვა, რტყმევა—ასეთი იყო გორკის თანამგზავრები ბავშობასა და სიყმაწვილეში. ერთხელ ბაბუამ სიკვდილამდე მოაქცია იგი წიკპლით, მეორედ სამოვრის გულისთვის ბატონებმა ისე გალახეს იგი, რომ საჭირო გახდა მისი საავადმყოფოში წაყვანა და განსაკუთრებული აქიმობა.

ამ ველურმა პირობებმა, იმის მგავრად, რომ მოზარდის გული გაემკატრებია, მასში შთანერგეს ღრმა პატივისცემა ჩაგრულთა და ზიზღი მჩაგრელთადმი. ამ მხრივ დიდი როლი ითამაშეს წიგნებმა, რომლებიც გორკისთვის სკოლისა და უნივერსიტეტის მაგივრობას სწევდნენ. იგი დაუშრეტელი წყურვილით კითხულობდა წიგნებს და „ყოველი მათგანი წარმოადგენდა პატარა საფეხურს, რომელზედაც ასვლით მე, — ამბობს გორკი — ცხოველურიდან ადამიანს ვუახლოვდებოდი და აუტანელი შრომით წელგაწყვეტილი, სულელური გინებით შეურაცხყოფილი ბავში, ჩემს თავს ზეიმით ვაძლევდი ფიცს დაფხმარებოდი ხალხს, აღმოამჩინა მისთვის პატიოსანი დახმარება, როცა გავიზრდებოდი“. (მ. გორკი: „როგორ ვსწავლობდი“).

მ. გორკიმ მრავალი ხელობა და პროფესია გა-

მოიცვალა (იყო მეჩვრედ, მზარეულად გემზე, კრენდლების მკეთებლად, მტვირთველად ვოლგაზე, დარაჯად რკინის გზაზე, გადაშწერად, გუნდის მონაწილედ და სხვ.). მან ქვეითად შემოიიარა მთელი რუსეთი და, 1899 წ. შემოდგომაზე ტფილისში ჩამოვიდა. აქ იგი შედის სამსახურში რკინის გზის სახელმწიფოში, ეცნობა რევოლუციონური ინტელიგენციის ხელმძღვანელებს (მ. კალიუჟინს) და ზოგიერთ მუშებს, მონაწილეობას იღებს პროპაგანდისტულ წრეში (ამის გამო მას თითქმის ერთი თვე მოუხდა მეტეხში ჯდომა) და აქვე იწყებს თავის ლიტერატურულ მოღვაწეობას (მისი პირველი მოთხრობა მოთავსებული იყო გაზ. „კავკაზში“).

რამდენიმე ხნის შემდეგ უცნობი მაწანწალა ხდება მწერალი, ცნობილი მწერალი არა მარტო რუსეთში, არამედ მთელ ქვეყნიერებაზე. ასეთი უჩვეულო გამარჯვების მიზეზები, გარდა გორკის დიდი მხატვრული ტალანტისა, უნდა ვეძიოთ იმაში, რომ მან შესძლო „შესაფერი სიტყვის თქმა შესაფერ მომენტ-



მ. გორკი.

ში“. ეს იყო დრო ბატონურ რუსეთის ნგრევისა და მისი კაპიტალისტურ ქვეყანაში გადასვლის; კაპიტალის სწრაფ ზრდასთან ერთად იზრდებოდა და ვითარდებოდა მუშათა მოძრაობაც.

მის მოთხრობათა იმედიანი მოწოდება „ბრძოლისა, თავისუფლებისა და სინათლისაკენ“ საუკეთესოდ ეწყობოდა მოწინავე ინტელიგენციის და პროლეტარული მასების განწყობილებას, რომლებიც თვითმპყრობელობასთან გამირულ ბრძოლას იწყებდნენ.

1900-იან წლების დასაწყისში გორკი შედის პარტიაში, უახლოვდება ლენინს და მალე ეს გაცნობა გადაიქცა მტკიცე და ხანგრძლივ მეგობრობად.



პარტიაში შესვლამ გორკიზე დიდი გავლენა მოახდინა. მისი მოთხოვნების წინანდელი გმირები (ჩელიკაში, კონოვლოვი) ახლა აღვილს უთმობენ მუშას, რომელსაც გორკი უყურებს ისე, როგორც ცხოვრების ნამდვილ აღმშენებელს („მდაბიონი“, პიესა „მტრები“, „დედა“). მოთხოვნა „დედა“-თი რომელშიაც გამოხატულია რევოლუციონური მოძრაობა სორმოოს ქარხნებზე 1901—2 წ. წ., გორკი დაუახლოვდა მუშებს არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთ (გერმანიაში, მაგალითად, იგი ეს მოთხოვნა მილიონობით გავრცელდა).

მძიმე ავადმყოფობამ აიძულა გორკი უკანასკნელი წლები საზღვარგარეთ გაეტარებია, იტალიაში, მაგრამ მას არ შეუწყვეტია კავშირი თავის მხარესთან. უცხოეთში ყოფნისას, გორკი თვალყურს ადევნებს ჩვენი კავშირის ცხოვრებას არა მარტო გაზეთებითა და ჟურნალებით, არამედ ასეული წერილებით, რომლებსაც იგი განუწყვეტლივ ღებულობს მუშაკორებისა და გლეხკომებისაგან—მისი სიტყვით „ახალი ცხოვრების პატარა აღმშენებლებისაგან“. გორკი ხედავს, თუ როგორ ხორციელდება მთელი მისი სიცოცხლის ოცნება—ადამიანის განთავისუფლება საუკუნოებრივი მონობისა და ძალადობისაგან, ხედავს, რომ მუშა თანდათანობით ხდება მთელი ქვეყნის ბატონ-პატრონი და გლეხობის ბელადი თავისუფლებისაკენ სწრაფვაში (გორკის სიტყვები). და ოქტომბრის ათი წლის თავზე იგი მხურვალე საღამომით მიმართავს ახალი ცხოვრების აღმშენებელს: „ამხანაგო! იცოდე და გჯეროდეს, რომ შენ ყველაზე უფრო საჭირო ადამიანი ხარ დედამიწაზე. პატარა საქმის გაკეთებით შენ მართლაც დაიწყე ახალი ქვეყნის შექმნა. ისწავლე და ასწავლე. გულითადი საღამო, ამხანაგო!“

გორკის ნაწარმოებნი გადათარგმნილია თითქმის ყველა ენაზე, მას იცნობენ მთელი ქვეყნის მშრომელები.

რითი დაიმსახურა გორკიმ საყოველთაო სიყვარული და თაყვანისცემა?

იმით, რომ იგი, გარდა იმისა, რომ დიდი მხატვრული ნიჭითადა შემოქმედების უნარით დაჯილდოვებული ადამიანია, არის დიდი მებრძოლიც მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის. გორკიმ პირველად დაიწყო წერა სრულიად ახალ საკითხებზე. მან პირველმა, დიდ მხატვართა შორის, გამოიყვანა თავის ნაწარმოებში ახალი ადამიანი, მებრძოლი მუშა,

მოგვცა მისი სწორი და მხატვრული განსახიერება. გორკი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე მაშინ, როცა ხდებოდა მუშათა კლასის ორგანიზაციული დარაზმვა, სწარმოებდა ფარული რევოლუციონური წრეების მუშაობა, როდესაც მუშათა კლასი ემზადებოდა გადამწყვეტი პოლიტიკური ბრძოლებისათვის ძველი დამყაყებელი რეჟიმის დასამხობად და იგიც უშიშრად ჩადგა მებრძოლთა რიგებში.

გორკიმ, როგორც დიდბუნებოვანმა ადამიანმა, **შესძლო რევოლუციონური მოღვაწეობისა და მხატვრული შემოქმედების შეთავსება.** მრავალი წლის განმავლობაში ის ითვლებოდა **ლენინის** გულითად მეგობრად.

თავის ნაწარმოებში მან პირველმა ამცნო ქვეყნას რევოლუციონური ქარიშხლის მოახლოება, აშკარად და გაბედულად დაუბრდაპირა დასნეულებულ, გონებრივად დაჩლუნგებულ მემჩანურ საზოგადოებას—ბურჟუაზიას—პროლეტარიატი, მისი მიზნები, მისი სწრაფვა ახალი სოციალისტური საზოგადოების შექმნისაკენ.

გორკის ემარჯვება მებრძოლი პროლეტარის მხატვრული განსახიერება. ვინაიდან ის თვით მშრომელთა წრიდან არის, ზედმიწევნით იცნობს მის უდრეკ ხასიათს და მიზნებს.

გორკი არა ერთხელ და ორჯერ ყოფილა დაპატიმრებული ჟანდარმების მიერ ფარული რევოლუციონური მუშაობისათვის. მეფის მთავრობა სასტიკად სდევნიდა მას. მრავალი ციხე და დაპატიმრება გამოუვიდა გორკის. მაგრამ აჰოდ. თავის მხატვრულ ნაწარმოებში, პუბლიცისტურ წერილებში, საჯარო გამოსვლებში, როგორც რუსეთში, ისე უცხო ქვეყნებში, გორკი სასტიკად გმობს მეფის მთავრობას და მოუწოდებს მასებს მისი დამხობისაკენ.

გორკი იყო პირველი მწერალი, ვინც თავისი შემოქმედების დიდი მხატვრული ნიჭი მშრომელთა მასების სამსახურს მოახმარა.

სწორედ ამიტომ სწერდა **ლენინი**: „გორკი უსათუოდ პროლეტარული ხელოვნების დიდი წარმომადგენელია. მან ბევრი რამ გააკეთა ჩვენთვის“.

დიდი მხატვრული ნიჭი და დაუდალავი ბრძოლა მუშათა კლასის ინტერესებისათვის—აი, რაშია მაქსიმ გორკის ბრწყინვალე გამარჯვების საიდუმლოება, აი, რატომ ეგებება მას ასეთი დიდი აღფრთოვანებით და ზეიმით მთელი საბჭოთა კავშირის მშრომელი ხალხი.



## როგორ ეხმარებიან ჩინეთის პიონერებს საბჭოთა პავუირის პიონერები.

22 მანეთი უბარებენ.

(ჩერნიგოვკა)

„ყველა უნდა დაეხმაროს ჩინეთის რევოლუციონერებს“ — ამ მოწოდებამ დიდი აღფრთოვანება გამოიწვია სკოლაში და პირველ რიგში კი პიონერთა შორის. მაშინვე გადასწყვიტეს დაედგათ ფასიანი წარმოდგენა და გაეგრძელებიათ ბილეთები. წარმოდგენამ დასტოვა 10 მან. 36 კაპ. ხელმოწერით მოაგროვეს 12 მ. 63 კ.

ამ ფულს ვაგზავნით თქვენი გაზეთის რედაქციაში, რომ გადაუგზავნოთ ჩინეთის რევოლუციონერებს და ვიწვევთ ჩერნიგოვის მეორე საფეხურის სკოლას.

### დავხმაროთ ჩინეთის ბავშვებს.

ჩვენმა კოლექტივმა გადასწყვიტა შეგროვებინა ფული ჩინეთის ბავშვთა სასარგებლოდ. ფული ჩვენ რაზმელებს არ აღმოაჩნდათ, ამიტომ დავადგინეთ ჩამოგვევლო სახლებში ყუთებით ფულის შესაგროვებლად. გამოვყავით ამხანაგები, ვიშოვეთ ყუთები და მათ ჩამოიარეს სახლები. გლეხები სწირავდნენ, რამდენიც კი შეეძლოთ; შემოწირულების შეგროვება კიდევ გრძელდება.

ასე ვეხმარებით დაჩაგული ჩინეთის დაჩაგრულ ბავშვებს.

### ვშველით ჩინეთის პიონერებს

ჩვენმა კოლექტივმა შეაგროვა 10 მან. ჩინეთის პიონერების სასარგებლოდ. ეს ფული ჯერჯერობით შენახულია რაზმის სალაროში. პიონერები თიქრობენ შეაგროვონ კიდევ ფული და გადაგზავნონ რედაქციაში. ფულები შევაგროვებთ შემოწირულებით. პიონერები დიდი აღტაცებით ეგებებოდნენ ამ საქმეს. თითქმის ყველამ შესწირა ფული, რამდენიც კი შეეძლო.

### ჩინეთის მოსწავლენი.

წყალდიდობით, ავადმყოფობითა და სამოქალაქო ომებით განადგურებულ მოსახლეობაში ბევრი მშიერი და ღარიბი ბავშვა. რამდენიმე მილიონი ბავში მხოლოდ შორით შესცქერის მცირერიცხო-

ვანი მდიდრების შეიღების ბედნიერ ცხოვრებას. მდიდარი მშობლები, — ვაჭრები, მემამულენი, მოხელენი, — თავის ბავშვებს სკოლებში აბარებენ, ხოლო ღარიბი მშობლების ბავშვები ხუთი — შვიდი წლიდან მშობლებს ეხმარებიან მეურნეობაში.

ჩინეთის პირველდაწყებით სკოლაში 6 კლასია, სწავლის ფული წლიურად ათ მანეთს უდრის, ხოლო საშუალო სასწავლებელში 30 მანეთს.

რას სწავლობენ ჩინურ სკოლებში? პირველ ყოვლისა მოწაფეებმა უნდა დაიმახსოვრონ რამდენიმე ათასი იეროგლიფი, მათი დამახსოვრება კი მთელი წამებაა მოსწავლეთათვის. იეროგლიფები რამოდენიმე დღის სწავლის შემდეგ დომხალივით ირევა მოსწავლეთა თავში.

ხშირად ცუდი მეხსიერებისათვის მოსწავლეებს სჯიან: აყენებენ კუთხეში, სტოვებენ უსადილოდ რამოდენიმე საათს.

წერაკითხვის შესწავლის შემდეგ მოსწავლენი სწავლობენ ანგარიშს, ხატვას, მუსიკას და ტანვარჯიშს. ხატავენ ტუშითა და ფუნჯებით და პირველ ხანებში წარმოდგენა არა აქვთ ფერების შესახებ. ისინი ძალიან დახელოვდებიან ხოლმე ხატვაში და კარგად გადმოსცემენ ხოლმე ქალაღზე ტყეების, მთებისა და ზღვების სურათებს. მოწაფენი, გარდა სახელმძღვანელოებისა, არაფერს კითხულობენ, საბავშვო წიგნები და ჟურნალები ჩინეთში თითქმის სრულიად არ არის.

ჩინურ სკოლებს გარდა ჩინეთში მისიონერთა სკოლებიც არსებობს. ეს სკოლები სხვადასხვა სარწმუნოების მღვდლების მიერაა გახსნილი. უკანასკნელ ხანებში ჩინურ სკოლებში არსდება ბოისკაუტების რაზმები.

დიდი ქალაქების სკოლებს ჰყავთ ბოისკაუტების სპეციალური ინსტრუქტორები.

### შაურობით

ინტერნატში მცხოვრებმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს დაეხმარონ ჩინეთის პიონერებს.

მოაწყეს პატარა ლატარია. გააკეთეს შაურიანი ბილეთები, შეიტანეს ჩინეთის პიონერების სასარგებლოდ.

# ჩვენის სიმდიდრენი

ხე-ტყის მრეწველობა.

ძალიან დიდი ჩვენი საბჭოთა კავშირი, რამდენიმე ათასი ვერსის მანძილზე ის გადაჭიმული და ბევრი სხვადასხვა სიმდიდრეა მასში. ქვეყნის სიმდიდრეებს შორის ფრიალ დიდი და მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ხე-ტყეს. გავიცნოთ, რა მდგომარეობაშია ამ მხრივ ჩვენი კავშირი.

დედამიწაზე არცერთი სახელმწიფო არ არის ისე მდიდარი ტყეებით, როგორც საბჭოთა კავშირი. დაახლოებით გამოთვლილია, რომ მასში ტყეს უჭირავს 417 მილიონი დესიატინა. მეორე ადგილი ამ მხრივ კანადას უჭირავს, რომლის ტყეების სივრცე 329 მილიონ დესიატინას უდრის, მესამე — ჩრ. ამერიკის შეერთებულ შტატებს — 223 მილ. დესიატინა; ყველა დანარჩენ სახელმწიფოს კი აქვს 66 მილ. დესიატინა ტყე.

პირდაპირ განსაცვიფრებელია, რას არ იძლევა ხე! გავიცნოთ, ნაწილობრივ მაინც, რაში იყენებს ადამიანი ხეს.

გადავლეთ თვალი ჩვენს სოფლებს, იქ ხომ სახლები უმთავრესად ხისაა. დააკვირდით ქალაქების ქვის შენობებს, რამდენად საჭიროა მათთვისაც ხე: კარები, ჩარჩოები, იატაკი, ლარტყები და სხვა! ნახეთ საოჯახო ნივთები: მაგიდა, სკამი, კარადა, გარდერობი და ათასი სხვა რამ — ეს ხომ ყველაფერი ხისაა! რა გუზგუზებს სოფლად ბუხრებში და შუაღმოსავლეთში, რით ათბობენ ქალაქებში სახლებს? — ესეც რომ ხეა, რომელიც გვაძლევს შეშას. რას ჰყრის ქურაში, უთოში და სახლისი? ეს ხომ ნახშირია, რომელიც იმავე ხისგანაა მიღებული, ფრიალ საჭიროა და ლუკმაპურს აქმევს მენახშირეებს, რომლებიც სთბრიან ორმოებს და იქ სწვავენ ნახშირს. ყველამ — დიდა და პატარამ, იცის, რამ ხე იძლევა ყოველივე ამას, მაგრამ ძალიან ბევრმა არ იცის, რას იძლევა კიდევ იგი.

„გაზეთი, გაზეთი“, — გაისმის დილ-დილობით ქალაქის ქუჩებში, ხალხი ყადულობს, კითხულობს, მათელი ქვეყნის ამბებს გებულობს, მოწაფეები სკოლებში ვარბიან, ხელში წიგნები და რვეულები უჭირავთ, ცოდნას იძენენ, ცხოვრებაში საქმიანობისთვის ემზადებიან.

- რა სჭირდება წიგნებს, რვეულებს, გაზეთს?
- ქალაქი.
- რისგან აკეთებენ ქალაქს?
- ხისგან, უმთავრესად ვერხვისა და ფიჭვისაგან, აგრეთვე სხვა ხეებისა და ხე-ტყის სახერხ ქარხანაში ნარჩენი მასალისგან. წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა, ქალაქი რომ არ გვექონდეს.

საერთოდ ხალხის კულტურისთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ქალაქის მრეწველობის განვითარებას. თუ ქალაქი ბევრია, ის იაფია, წიგნი, გაზეთი, რვეული — ყველაფერი იაფი ჯდება, ხალხს აქვს ავის გამო მისი ყიდვასაშუალება, ვითარდება, ცოდნას იძენს, წინ მიდის, მაგრამ თუ ის

ძვირია, მაშინ მისი შეძენა ძნელია. როგორია ამ მხრივ საბჭოთა კავშირის მდგომარეობა?

ქალაქის წარმოება თვითმპყრობელობის დროს ძალიან სუსტად იყო განვითარებული. დიდძალი ქალაქი შემოჰქონდა რუსეთს უცხოეთიდან, მაგრამ ეს მაინც არ იყო საკმაო. 1914 წელს რუსეთში 1 კაცი საშუალოდ ხარჯავდა წელიწადში 3 კილოგრამ ქალაქსა და მუყაოს, ომის დროს კი მდგომარეობა საშინლად წახდა და 1923-24 წელს სულზე იხარჯებოდა 0,96 კილოგრამი, ჩრდილო-ამერიკის შტატებში კი 94 კილოგრამი, გერმანეთში — 26 კილ. საბჭოთა ხელისუფლებამ ძალიან ენერგიული ზომები მიიღო და თუ 1923/24 წელს 169.000 ტონი\*) ქალაქი დაიხარჯა, 1925-26 წელს — 373.000 ტონი. მას შემდეგ მდგომარეობა კიდევ გაუმჯობესდა, აუარებელი წიგნი და ჟურნალი იკემა, უდიდესი ყურადღება ექცევა ქალაქის ფაბრიკების გახსნას, საქართველოშიც განზრახულია ქალაქის ქარხნის აგება, რისთვისაც სანიმუშოდ წაღებული იყო ჩვენი ხე ტყე და გამოიკვია, რომ ის მშვენიერ ქალაქს იძლევა (სწორედ ჩვენი ხე-ტყის მასალიდან არის გაკეთებული ის ქალაქი, რომელზეც იბეჭდება წელს გან. სახ. კომისარიატის ჟურნალი „ახალი სკოლისაკენ“). ამ ახლო მომავალში როგორც საქართველოში, ისე კავშირის სხვა ნაწილებშიაც გაიხსნება ქალაქის ქარხნები, რაც ბევრ მშრომელს მისცემს სამუშაოს, ქალაქს გააიაფებს, სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნები გააიაფდება და ჩვენ უფრო დიდი ნაბიჯებით წავალთ წინ.

ვის არ გაუგონია ფისი, რომელიც ძალიან საჭიროა და გამოსადევია ადამიანისათვის. საიდან იღებენ მას? იმასაც ხე იძლევა. ქ. არხანგელსკიდან ათი-ათასი კასრებით გააქვთ ფისი საზღვარგარეთ, რაც კარგ შემოსავალს იძლევა.

ვის არ უნახავს კუპჩი, რომელსაც უსვამენ ტიკვრებს და ბევრ სხვა რამეშიც იყენებენ. იმასაც ხე იძლევა, ხოლო ფისი და კუპჩი იძლევა: სათბობ სიხეს, სკიპიდარს, რომელსაც სამკურნალო დარგში ხმარობენ და კანიფოლს, აგრეთვე ფილტვების დასაწმენდ ძვირფას წამლებს — გვიაკოლს და კრეოზოტს. გარდა ამისა, იძლევა კიდევ ნახშირის ძაფს, რომელსაც ელნაოთურებს უკეთებენ შიგნით.

ხომ გინახავს შავი ღვინო (თოფის წამალი)? იმით რომ დატენით ვაზნას და გაისვრით, ლულიდან ბოლი გამოდის, რაც ხშირად ფრიალ არასასურველია სხვადასხვა მოსაზრებით, გარდა ამისა, ის სვრის თოფს. მაგრამ არის მეორენაირი ღვინოც, უბოლო, უკვამლო, თანაც მას გაცილებით უფრო მეტი ძალა აქვს. ჯარში შემოღებული თოფების ვაზნები და რევოლვერის ვაზნები ამ ღვინოთ არის დატენილი, ის წონით უნდა ჩაიყაროს, გაცილებით უფრო ნაკლები, ვიდრე ბოლიანი შავი ღვინო, თო-

\*) ტონი უდრის 1000 კილოგრამს.

რემ შეიძლება ლუღა გახეთქოს. აი, ეს დენთიც გადამუშავებული ხეა და სხვა არაფერი!

ვინ არ ყოფილა კინოში, ვის არ უნახავს, როგორ ატრიალებენ იქ მანქანის ხელს, როგორ მოძრაობს კინო-ლენტი და გვიჩვენებს სხვადასხვა სურათს. დაფიქრებულხართ იმის შესახებ, თუ რისგან გააკეთა ადამიანი ეს კინო-ლენტი? ისიც გადამუშავებული ხეა!

საქართველოს მრავალ ადგილას ხარობს თეთის ხე, მრავალ ადგილას ჰყავთ აბრეშუმის ჭია, რომლის პარკიდან შემდეგ იღებენ აბრეშუმის ძაფს, მისგან კი აკეთებენ აბრეშუმის ქსოვილებს. ძალიან გაგიკვირდებათ, ალბათ, როცა გაიგებთ, რომ არის ხელოვნური აბრეშუმიც, რომელიც ხის გადამუშავების ნაყოფია.



ქ. არხანგელსკიდან საზღვარგარეთ გაქვთ ფისი.

ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ ტყავი უქველად რომელიმე ცხოველის უნდა იყოს. დაჰკლავენ ხარს ან ძროხას, გახდიან ტყავს, შეიკრავენ ქალამნებს, ან წამლებში ჩასდებენ, გამოაყვანებენ და მიიღებენ ლანჩას. თხის, ცხვრის ძაღლის, კატის და სხვა ცხოველების ტყავებსაც იყენებენ, აკეთებენ და იკრავენ მშვენიერ რბილ ფეხსაცმლებს. ეს ბუნებრივი ტყავია, მაგრამ არსებობს ხელოვნური ტყავიც, რომელიც იმავე დანიშნულებას ემსახურება, ეს ხელოვნური ტყავი კი წინათ ტყეში იყო, ტოტები ჰქონდა, ფოთლები ესხა, შრიალებდა, მზეს უცინოდა, ცად ატყორცნილი — ის იყო კოხტა, ლამაზი ხე; ამაზე მეტი საკვირველება შეიძლება? ხე ტყავად იქცა, ჯერ კი პერგამენტის სახე მიიღო!

ახლა უკვე თითქმის ყველამ იცის „ქლოროდონტი“, კბილის საწმენდი პასტა, რომელსაც ყოველი ნაბიჯზე შეხვდებით კოპერატივებში და სააფთაქო მაღაზიებში. მასში, როგორც სიტყვის პირველი ნაწილი გვიჩვენებს, ქლორია, რომელიც მშვენიერ სადენინფექციო საშუალებას წარმოადგენს. ქლორიც გადამუშავებული ხეა. ის იძლევა, თავის თავის შრივ, ლურჯ საღებავს, რომელსაც ინდიგოს ეძახიან.

ხშირად იჯახში გადამღები ავადმყოფობა ჩნდება. უჩინარი მიკრობები მილიარდობით მრავლდებიან და დაფუსფუსობენ ჰაერში. ისინი დიდ საფრსხეს უმზადებენ დანარჩენებს, რომლებსაც გადაედებათ ავადმყოფობა და მუსრს ვაავლებს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა დენინფექცია. ქალაქებში ჯანსაჯომს აქვს მოწყობილი სადენინფექციო კამერები. ექიმი ატყობინებს მათ, ისინი ჰგზავნიან კაცებს და აკეთებენ ბინის, ტანისამოსის და სხვა ნივთების დენინფექციას. ერთ ერთ ფრიად კარგ და ძლიერ სადენინფექციო საშუალებას წარმოადგენს ფორმალინი, რომელსაც ისევ და ისევ ხის გადამუშავებით ვიღებთ.

— მიზოძეთ წმინდა სავარცხელი! — ეუბნებით კოოპერატივის ნოქარს.  
— ხის გნებავთ, თუ რქის? — გეკითხებათ იგი.  
— რქის იყოს.  
იყიდეთ და ბრუნდებით შინ „რქის“ სავარცხელით, ის კი არ იცით, რომ რქა ორგვარია: ბუნებრივი და ხელოვნური. ხელოვნური რქა! რქის სავარცხლები — წინათ კი მოშრიალე ხე! საოცრებაა, მაგრამ ასე კია!

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, ტყეს სხვა მნიშვნელობაც აქვს: ის გამოზოგვით აძლევს წყალს მდინარეებსა და წყაროებს, ხელს უშლის მდინარეების უცბად მოდიდებას, ამაგრებს მიწას და იფარავს დანგრევისაგან, იფარავს ნიადაგს გადარეცხისაგან, გვიფარავს ქარისაგან და თავისი სუფთა ჰაერით ჰკურნავს ბევრგვარ ავადმყოფობას.

წინათ ტყე მეფის, მემამულეების და სამღვდლოების ხელში იყო, ახლა კი მისი ბატონ-პატრონი მშრომელი ხალხია, და ყველა მშრომელმა უნდა იცოდეს, როგორ უნდა ტყეს დაცვა და მოვლა:

- 1) ნუ შემოჰკოდავ ხეს: დაავადყოფდება, წახდება, 2) აბედი თუ ნახო ხეზე, მოჰგლიჯე და დაწვი: ის ხის მჭამელია, მისი მტერია და თან გადამდებიც არის: თუ ხეს კანი გაჭრილი აქვს, მეორე ხის აბედის თესლი ჩაუა შიგ და იქაც აბედი გაჩნდება. 3) თუ ხეს ფითრი გაუჩნდა, მოსჭერ ფითრიანი ტოტი: ფითრი ისევე სჭამს ხეს, როგორც ქლექის ბაცილა ადამიანის ფილტვს. 4) გაასუფთავე ტყე, წამოიღე იქიდან ძირს დაღვნილი ტოტები, წაქცეული ხეები, თორემ ტყე გაფუჭდება, დაავადყოფდება. 5) მოსჭერ ავადმყოფი ხეები, 6) ნუ დაანთებ ტყეში ცეცხლს — ხშირად ამის გამო ხანძარი ჩნდება და ტყე ნადგურდება. 7) ნუ მოსჭრი დეკემბერში ვითომდა ბავშვების გულის გასახარად (შობის ხისთვის) ნაძვებს — ამით ხომ შენს თავს ცარცავ, შენს თავს მტრობ, სიმდიდრეს ღუპავ! 8) ხელი შეუწყე „ტყის დღის“ კარგად ჩატარებას, დარგე და სხვებსაც დარგვევინე ხეები, აუხსენი, ვინც არ იცის, რადიდი მნიშვნელობა აქვს ტყეს ადამიანისათვის.


417 მილიონ დესიატინაზე შრიალებს საბჭოთა კავშირში ტყე, საბჭოთა კავშირის მცხოვრებთა იმედის, სიმდიდრე და სიამაყე...

შ. ფარცხნაღელი.



# ჭ ა ლ რ ა კ ი

წარმოვიდგინოთ ახლა ისეთი შემთხვევა, როდესაც პაიკი თავისი მეფის დახმარებას საჭიროებს. აქაც თამაში ან მოგებით შეიძლება დამთავრდეს. ან უშედეგოდ. აქაც გადამწყვეტი მნიშვნელობა კოჭების პოზიციას აქვს.



დიაგრამა 1.

ორივე მხარე იმას უნდა ცდილობდეს, რომ მოპირდაპირე მეფის მიმართ ეგრეთწოდებული **ოპოზიცია** დაიჭიროს. თუ ამ ოპოზიციის დაჭერა სუსტმა მხარემ დაასწრო, თამაში ფრედ მთავრდება, თუ ძლიერმა მხარემ — გამარჯვება უზრუნველყოფილია. თავიდათავი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ მეფე თავისი პაიკის წინ იყოს მოქცეული. ასეთ შემთხვევაში მოგება აუცილებელია. თუ მეფე პაიკს გვერდიდან ან ზურგიდან იცავს, თამაში უშედეგოდ მთავრდება, რადგანაც მოპირდაპირის მეფე საშუალებას აღარ აძლევს პაიკს იმ უჯრაზე დაჯდეს, სადაც ფიგურად გადაქცევა შეუძლია. მოვიყვანოთ სათანადო მაგალითები (იხ. დიაგრ. № 1).

ავილოთ პირველი შემთხვევა, როდესაც ძლიერი მხარის მეფე პაიკს იცავს გვერდიდან. ეს თამაში უშედეგოდ უნდა დამთავრდეს, თუ, რა თქმა უნდა, შავი მეფე ტლანქ შეცდომას არ ჩაიდენს.

- |              |            |
|--------------|------------|
| 1. d 2—d 3   | მ d 4—d 5  |
| 2. მ c 2—c 3 | მ d 5—c 5! |

შავი მეფე ოპოზიციაში ჩაუდგა თეთრ მეფეს და ამით საშუალება წაართვა მას პაიკის წინ დაჯდეს. შავებს ამ სვლის მაგივრად სხვა რომელიმე სვლა რომ გაეკეთებინათ, აუცილებლად წააგებდნენ.

- |               |            |
|---------------|------------|
| 3. d 3—d 4 +  | მ c 5—d 5  |
| 4. მ c 3—d 3  | მ d 5—d 6  |
| 5. მ d 3—c 4  | მ d 6—c 6! |
| 6. d 4—d 5 +  | მ c 6—d 6  |
| 7. მ c 4—d 4  | მ d 6—d 7  |
| 8. მ d 4—e 5  | მ d 7—e 7! |
| 9. d 5—d 6 +  | მ e 7—d 7  |
| 10. მ e 5—d 5 | მ d 7—d 8  |
| 11. მ d 5—e 6 | მ d 8—e 8! |

ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილია, თუ თეთრები ითამაშებენ.

- |               |            |
|---------------|------------|
| 12. d 6—d 7 + | მ e 8—d 8! |
|---------------|------------|

ასეთ მდგომარეობაში ორი შესაძლებლობაა ერთისაღმავე შედეგით: ან მეფე თამაშობს 13. e 6—d 6, რასაც ფათა მოსდევს, ანდა პაიკს უნდა მოსცილდეს, რასაც მოჰყვება . . . მ d 8 : d 7. და თამაში მაინც უშედეგოდ დამთავრდება.


ავილოთ ახლა მეორენაირი მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 2). თუ თამაში თეთრებისაა, გამარჯვება აუცილებლად მათ მხარეს იქნება, ვინაიდან თეთრი მეფე ისარგებლებს

სვლით და პაიკის წინ დაჯდება; თუ ამ შესაძლებლობას ხელიდან გაუშვებს, მაშინ წინა მდგომარეობას მივიღებთ.

- |              |           |
|--------------|-----------|
| 1. მ c 2—d 3 | მ d 5—c 5 |
| 2. მ d 3—e 4 | მ c 5—c 4 |
| 3. d 2—d 3 + | მ c 4—c 5 |
| 4. მ e 4—e 5 | მ c 5—c 6 |
| 5. d 3—d 4   | მ c 6—d 7 |
| 6. მ e 5—d 5 | მ d 7—e 7 |
| 7. მ d 5—c 6 | მ e 7—e 6 |
| 8. d 4—d 5 + | მ e 6—e 8 |
| 10. e 5—e 6  |           |

შავი მეფე იძულებული ხდება განზე წავიდეს (ან f 8-ზე ან f 7-ზე) და პაიკს საშუალება აქვს ფიგურად იქცეს.

უფრო ძნელია შავთა ეტლის პაიკით. თუ სუსტი მხარის მეფემ მოასწრო კუთხის უჯრის დაჭერა, თამაში ფათად დამთავრდება. ავილოთ ასეთი მდგომარეობა (იხ. დიაგრ. № 3).




დიაგრამა 2.

თუ პირველი სვლა თეთრებისაა, მაშინ მათი მოგებით მთავრდება თამაში; თუ შავებისა — უშედეგოდ. ავილოთ პირველი შემთხვევა:

- |              |           |
|--------------|-----------|
| 1. მ g 2—g 3 | მ e 3—e 4 |
| 2. მ g 3—g 2 | მ e 4—e 5 |
| 3. მ g 4—g 5 | მ e 5—e 6 |
| 4. მ g 5—g 6 | მ e 6—e 7 |

როგორც ვხედავთ, თეთრი მეფე საშუალებას არ აძლევს მოწინააღმდეგეს f დ g ვერტიკალზე გადმოვიდეს. შავი მეფე იძულებული ხდება e-ს ვერტიკალზე იაროს მოწინააღმდეგის შეცდომის მოლოდინში. თეთრმა მეფემ შეცდომით უკან რომ დაიწიოს, მაშინ შავი მეფე ისარგებლებს შემთხვევით და გაეშურება e 6—f 7—g 8-ს გზით h 8-საკენ. მაგრამ თეთრები ამის საშუალებას არ აძლევენ. შეიძლება შავებმა იფიქრონ: პაიკი ახლა კარგაა დაცვებული თავის მეფეს და რომ შემოგუტრიალდე, იქნებ მოვუკლოო. მაგრამ ცდის შემდეგ რწმუნდება, რომ ფუჭი იმედი იყო: 4. . . . მ e 6—e 5; 5. h 2—h 4; მ e 5—f 4; 6. h 4—h 5—და უკვე დაცულია თავისი მეფით. განვგრძოთ ხელი.



დიაგრამა 3.

- |              |           |
|--------------|-----------|
| 5. მ g 6—g 7 | მ e 7—e 6 |
| 6. h 2—h 4   | მ e 6—f 5 |
| 7. h 4—h 5   | მ f 5—g 5 |
| 8. h 5—h 6   | და გადის. |

ავილოთ იგივე მდგომარეობა და პირველი სვლა შავებს მივცემთ. მაშინ თამაში ფათად დამთავრდება.

1. . . . . მ e 3—f 4.

როგორც ვნახეთ, შავმა მეფემ პირველსავე სვლაზე f-ს ვერტიკალი დაიჭირა და თანაც g ვერტიკალიც (სათავისოდ) უზრუნველყო.


- |               |           |
|---------------|-----------|
| 2. h 2—h 3    | მ f 4—g 5 |
| 3. მ g 2—g 3  | მ g 5—h 5 |
| 4. h 3—h 4    | მ h 5—h 6 |
| 5. მ g 3—g 4  | მ h 6—g 6 |
| 6. h 4—h 5 +  | მ g 6—h 6 |
| 7. მ g 4—h 4  | მ h 6—h 7 |
| 8. მ h 4—g 5  | მ h 7—g 7 |
| 9. h 5—h 6 +  | მ g 7—h 7 |
| 10. მ g 5—h 5 | მ h 7—h 8 |
| 11. მ h 5—g 6 | მ h 8—g 8 |
| 12. h 6—h 7 + |           |

შავი მეფე ახლა თუ კუთხის უჯრაზე (h 8) არ დაჟდა, წაავებს.

12. . . . . მ g 8—h 7

და თამაში უშედეგოდ დამთავრდება.

**მეფე კოჭებით.** აქამდე ჩვენ ვიხილავდით ისეთ შამათებს, როდესაც სუსტ მხარეს მხოლოდ მეფე ჰყავდა.



დიაგრამა 4.

ახლა განვიხილოთ ენდშპილების მეორე ჯგუფი, როდესაც სუსტ მხარეს მეფის გარდა სხვა კოჭებიც ჰყავს (ეტლი, კუ, მხედარი, პაიკი). ასეთი ბოლოები უფრო რთულია და მოთამაშისათვის მეტ-დახელოვნებას მოითხოვს. ამ მხრივ შედარებით უფრო ადვილია, როდესაც ერთ მხარეზე


იბრძვის ლაზიერი და მეფე და მეორე მხარეზე მეორე მეფე და კუ, ანდა მეფე და მხედარი. რა თქმა უნდა, წესიერ თამაშში განარჯვება პირველ მხარეს უნდა ჰხდეს. ოლონდ ძლიერ მხარეს დიდი სიფრთხილე ჰპირდება, რომ უხეირო სვლით თამაში არ წაახდინოს.

**ლაზიერი კუს წინააღმდეგ.** მოკება სულ ადვილია, ოლონდ ძლიერი მხარე ძალიან უნდა გაუბრძიდეს, რომ თავისი მეფე და ლაზიერი ერთი მეორის გვერდით გეზად არ დასვას იმ ფერის უჯრებზე, რომელსაც კუ ემუქრება. თუ ეს შეცდომა ჩაიდინა მოთამაშემ იმ დროს, როდესაც სუსტ მხარეს შეუძლია კუთი დაემუქროს ლაზიერს, მაშინ თამაში უშედეგოდ დამთავრდება, ვინაიდან ძლიერ მხარეს ლაზიერი დაეკარგება. მაგალითად (იხ. დიაგრ. № 3), ასეთ მდგომარეობაში სვლა თუ შავებს ეკუთვნის, თამაში უშედეგოდ დამთავრდება, ვინაიდან კუ d 8 დაჯდება b 6-ზე და ლაზიერს დაემუქრება. ლაზიერი ვერ მოერიდება, რადგანაც მეფეს გააშიშვლებს; ან უნდა მოჰკლას კუ (f 2 : b 6) და თვითონაც მსხვერპლად შეეწიროს (a 6 : b 6) ანდა მეფით უნდა ითამაშოს და, მაშასადამე, ლაზიერი დაკარგოს. მოვიყვანოთ მაგალითი, თუ როგორ უკეთდება შამათი ლაზიერით, როდესაც სუსტ მხარეს კუ ჰყავს (იხ.

დიაგრ. № 4). ასეთ შემთხვევაში მეფის დახმარება აუცილებელია.

- |                |           |
|----------------|-----------|
| 1. ლ a 2—a 7 + | მ e 7—e 6 |
| 2. მ h 1—g 2   | მ e 6—d 5 |
| 3. მ g 2—f 3   | მ d 5—e 6 |
| 4. მ f 3—e 4   |           |

პირველი სვლით ლაზიერმა შავ მეფეს უკან ჰპირიზონტალზე წასავალი გზა წაართვა. მეფე ვერ წავიდოდა უკანასკნელ პირიზონტალზე, რადგანაც თავის კუს დაშორდებოდა და თეთრებს უფრო გაუადვილებოდათ კუს წართმევა. ამასობაში თეთრებმა თავისი მეფე საგრძნობლად დაუახლოვეს მოწინააღმდეგის ფრონტს, ხელჩართული ბრძოლაც სწორედ ახლა გაიმართება.



დიაგრამა 5.

- |                |           |
|----------------|-----------|
| 4. . . . .     | კ d 6—e 7 |
| 5. ლ a 7—b 6 + | მ e 6—f 7 |
| 6. მ e 4—f 5   | მ f 7—e 8 |
| 7. მ f 5—e 6   | მ e 8—f 8 |

აქ თეთრებს შეუძლიათ შავებს კუ წაართვან შემდეგი სვლით:

8. ლ b 6—b 8 +

მეფე იძულებულია g 7-ზე დაჯდეს, რასაც მოჰყვება: 9. მ e 6 : კ e 7; მაგრამ თეთრებს შეუძლიათ ასეც:

- |                   |                    |
|-------------------|--------------------|
| 8. ლ b 6—f 2 +    | მ f 8—e 8          |
| 9. ლ f 2—f 7 +    | მ e 8—d 8          |
| 10. ლ f 7 : e 7 + | და თეთრები იგებენ. |

**შამათი ლაზიერით მხედრის წინააღმდეგ.** არც ეს შამათი წარმოადგენს სიმძნელეს. აქაც ძლიერ მხარეს დაკვირება ჰპირდება, ვინაიდან მხედარმა მუხანათური ქიშის გამოცხადება იცის: ერთსადაიმთხვე დროს მეფესაც ემუქრება და ლაზიერსაც (იხ. დიაგრ. № 5).

ასეთ მდგომარეობაში სვლა რომ შავების იყოს, მხედარი თეთრებისათვის ისეთ საბედისწერო ნახტომს გააკეთებს, რომ ლაზიერს აუცილებლად აუგებს ანდერძს.—1. მხ f 5—e 3 +

თეთრებს მეტი გზა არა აქვთ, ლაზიერზე უეჭველად ხელი უნდა აიღონ.

მოგვყავს შამათის მაგალითი, ლაზიერით მხედრის წინააღმდეგ.

- |                  |            |
|------------------|------------|
| 1. მ h 1—g 2     | მხ f 7—e 5 |
| 2. მ g 2—g 3     | მ e 6—d 6  |
| 3. ლ a 1—a 6 +   | მხ e 5—c 6 |
| 4. მ g 3—f 4     | მ d 6—d 5  |
| 5. ლ a 6—b 5 +   | მ d 5—d 6  |
| 6. მ f 4—e 4     | მ d 6—d 7  |
| 7. მ e 4—d 5     | მ d 7—c 7  |
| 8. ლ b 6 : c 6 + |            |

და თეთრები სულ მალე იგებენ.

# თ ა მ ა უ ო ზ ა ნ ი


## პარტიის კომუნა.

(თამაში — იმპროვიზაცია)



- მთამაშეები იყოს 4 ნაწილად (4 რაზმად).
1. კომუნარები (უმეტესი ნაწილი).
  2. ნაციონალური გვარდია (1 ნაწილზე ნაკლები).
  3. რეგულიარული ჯარები.
  4. ბურჟ. გვარდია (მთავრობას იცავს).  
თამაში ტარდება სამ ადგილას.
- ა) რომელიმე სასწავლებლის ეზო; შენობა, რომელიც იდგომება თამაშის ადგილზე, ბურჟუაზიული მთავრობის სხდომის ადგილი იქნება.
- ბ) საარტილერიო პარკი,  
გ) კომუნის საბჭოს სხდომის სახლი.
1. ყველა აღნიშნული ადგილი საკმაოდ უნდა იყოს დაშორებული ერთიმეორისაგან.
  2. ტერის განკარგულებით (ბურჟუაზიული მთავრობის ბელადი; ის უნდა წარმოადგინოს ვინმე უფროსმა მთამაშემ) რეგულიარული ჯარები, რომლებიც სასწავლებლის ეზოში დგანან, მიდიან საარტ. პარკის ხელში ჩასაგდებად (იცავს ნაც. გვ.)  
ეზოში რჩება ბურჟ. გვარდია, რომლის ნაწილი სდგას შენობის შესავლის წინ, ხოლო მეორე ნაწილი წარმოადგენს დარაჯებს და დადის ეზოში.
  3. ნაც. ჯარები და კომუნარები იმყოფებიან საბჭოს სხდომის ადგილზე, რომელიც უფრო ახლოა საარტილერიო პარკიდან, ვიდრე რეგულიარული ჯარები ნაციონალური ჯარები გამოდიან საარტილერიო პარკის დასაცავად (მათი და რეგულიარული ჯარების გამოსვლა უნდა მოხდეს ერთსადაიმევე დროს) დანიშნულ ადგილებზე (ადგილს ნიშნავს წინამძღოლი), კომუნარები მიდიან ნაც. გვარდიასთან ერთად. ნაც. გვარდია სირბილით გაეშურება საარტილერიო პარკისაკენ; კომუნარები მიდიან რევოლუციონური სიმღერებით (მარსელიეზა, ვარშავიანკა) ბურჟუაზიული მთავრობის სხდომის ადგილისაკენ.
  4. ნაციონალური გვარდია რეგულიარულ ჯარებზე ადრე უნდა იქნეს. საარტილერიო პარკში.
  5. მოახლოვდებიან რეგულიარული ჯარები და დგებიან ერთ მწყობრად ნაციონალური გვარდიის წინ, ნაციონალური გვარდიის უზენაესი კომისარი წინადადებას აძლევს მათ მიემხრონ ხალხს, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ დახვრეტენ.
  6. რეგულიარული ჯარები გადადიან ხალხის მხარეზე. შეერთებული ჯარები მწყობრად გაეშურებიან ბურჟ. მთავრობის სხდომის ადგილისაკენ.
  7. ეზოში შედიან კომუნარები, ცოტა მოშორებით შენობიდან იმართება მიტინგი, გამოდიან ორატორები; ისინი ლაპარაკობენ ჩაგვრის შესახებ, რომელსაც განიცდიან მუშები, და აგრეთვე კაპიტალის ბატონობის და მთავრობის დალატის შესახებ. ორატორები მოუწოდებენ ბრძოლისაკენ.
  8. მთავრობის ჯარები საჩქაროდ (სტვენის ხმაზე) იკრიბებიან შენობების შესავალთან.
  9. შორს მდგომი ჯარები ეწყობიან.
  10. მთავრობის ჯარები სტვენის ხმაზე იწყებენ შეტევას კომუნარებზე ორი მხრიდან (ერთი — სასახ-

- ლის მხარეს ჯარები და მეორე — გვერდზე მდგომი).
11. ისინი ისვრიან „პუგაჩებს“, მუშები უბასუხებენ.
  12. ამ დროს შეერთებული ჯარი — რეგულიარული ჯარები და ნაციონალური გვარდია — შემოდის ეზოში. მუშები გადადიან შეტევაზე.
  13. ნაც. გვარდია ვარს ერთმევა ჯარს.
  14. ბურჟ. ჯარები იხევენ სასახლის კარებიდან. ტიფრი უბრძანებს შეტევაზე გადასვლას.
  15. ნაც. გვარდია მარსელიეზის სიმღერით გადადის შეტევაზე და მისი იერიშის შემდეგ ბურჟ. ჯარები ვარბიან. პირისპირ შეხვედრის დროს:
    - ა. კომუნარი კვდება, თუ მას ორჯერ შეეხო მტერი.
    - ბ. ჯარისკაცი კვდება ერთი შეხების შემდეგ.
    - გ. თოვლის, ან ჩვირის ბურთის ხმარების დროს პროპორცია რჩება იგივე, რაც უზრუნველყოფს კომუნარების გამარჯვებას.
  16. კომუნარები აიღებენ სასახლეს. აქ საჭიროა გაჩერება კიბის თავში (ქვევით უნდა დარჩეს ხალხი), პარტიის კომუნის გამოცხადების ჩასატარებლად. გამოდიან ორატორები. ძირს იხრება წითელი დროშები, დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის საპატივცემოდ მღერიან სამგლოვიარო მარშს. შემდეგ გამოდის ხელმძღვანელი, რომელიც ლაპარაკობს კომუნის საბჭოს საჩქაროდ არჩევის აუცილებლობაზე, ხელმძღვანელობის გასაწევად. მღერიან მარსელიეზას. ყველანი გამოდიან შენობიდან და ეწყობიან ეზოში. შენობაზე აფრიალდება წითელი დროშა. ხალხი მიესალმება მას.
  17. ხელმძღვანელი თავს უყრის ლენინელებს (ნახევარზე ნაკლებს) და აგზავნის მათ კომუნის სახლში. დანარჩენები, რომელნიც ნაც. გვარდიას წარმოადგენენ, გამოდიან რამოდენიმე ხნის შემდეგ.
  18. კომუნარები შედიან კომუნის სახლში და შეუდგებიან არჩევნებს. ეზოს იცავს ნაც. გვარდია.
  19. ტრიბუნაზე ადის ორატორი.
  20. ამ დროს შემოვარდებიან მუშები ყვირილით: „ამხანაგებო, იარაღს ხელი, ბურჟუაზია გვიტყვის“. კომუნარები გამოდიან შენობიდან და საჩქაროდ აშენებენ ბარიკადებს.
  21. ბურჟუაზიის მომხრეები ახლოვდებიან; იწყება სროლა; შემდეგ ჯარი მივარდება ბარიკადებს, რომელიც იმათ უნდა დაანგრიონ; ისინი ჰყვირიან „სიკვდილი კომუნარებს“. ბრძოლაში ბურჟუაზია სჯობნის.
    - ა. მუშა კვდება ერთი შეხებით,
    - ბ. ჯარისკაცი ორი შეხებით.
- იმარჯვებს ბურჟუაზია. კომუნა დაეცა, მისი უკანასკნელი დამცველები ვარბიან და იმუსრებიან გააფთრებული ბურჟუაზიის მიერ.
- თამაშის შემდეგ — საუბარი პარტიის კომუნის შესახებ.





47/250

# გამოდის 1928 წ. გამოდის

## თავისებური საშინაო სასურათო

### ქურნალი

მოზარდობის

# პიონერი

წელიწადი III

ქურნალი ს. ს. ს. რ. ყველა სკოლისათვის სავალდებულოა.

ლენინის სახელობის სტერტიველას ბავშთა კომუნისტური ჯგუფების ყოველი წევრის, ორგანიზაციის ყოველი კოლექტივის, ბავშთა კომუნისტური მოძრაობის თითოეული სელმძღვანელის, ბიბლიოთეკების და სამკითხველოების ვალდებულე-ბაა გამოიწერონ

## პიონერი

მიიღება სელმძღვანელთა 1928 წლისათვის.

ქურნალი ღირს გადაგზავნით:

- წელიწადში — 5 მან.
- ექვს თვეს — 3 მან.
- სამ თვეს — 1 მან. 50 კაპ.

სალკე ნომერი — 25 კაპ.

მისაგარეთი: ტფილისი, რუსთველის გამზირი, № 22, სახელგამი (მეორე სართული). „პიონერი“-ს და „ნაკადული“-ს რედაქცია.

კლავტორი — საკლავტორი კოლეჯია.